# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 მაისი 2006 №106 (2728) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარი რუსთავის მარშრუტკას ჩამოჰყვა

### აქ რა ქნეს, იქ რაღას იზამენ?!

*პირველად როდი ხდება — რუსთავის „აზოტი“ თამაშს აგებს, მისი ქომაგები კი ტრიბუნაზე იმას აწყობენ, რასაც აყალმაყალი კი არა, უმსგავსობა და ველურობა ჰქვია. რაც უფრო მნიშვნელოვანია მატჩი, მით მეტი ღრიანცელი დგას, ფინალზე მნიშვნელოვანი კი არ არსებობს.*

*არცთუ კარგად მივიწყებულ წარსულში „აზოტმა“ სამი ფინალი წააგო და ახლა მეოთხეში „ავიამშენთან“ 0:2 ჩამორჩენის პირას რომ დადგა, ატყდა ერთი ამბავი. პლასტმასის ბოთლები რა მოსატანია, ფიცარნაგზე შუშისაც დაიმსხვრა. ამის შემხედვარე „ავიამშენის“ თავკაც ლევან მოსეშვილს მოედნიდან საერთოდ გაჰყავდა გუნდი. როგორღაც გადააფიქრებინეს და მოაბრუნეს.*

*ვაიქომაგების დაწყნარება თვით აზოტელებსაც გაუჭირდათ. და ნუ დაგვავიწყდება, ეს თამაში ვერის ბაღში გაიმართა, შემდეგ შეხვედრას კი 16 მაისს რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზი მასპინძლობს. კიდევ ერთი მარცხი „აზოტისთვის“ ჩემპიონობასთან გამოთხოვებას ნიშნავს. არსებობს კი იმის გარანტია, რომ სხვა გუნდის რუსთავში გაჩემპიონება წყნარად და მშვიდობიანად ჩაივლის?*



ავიამშენელმა კოტე ტულუშმა სამმაგი დუბლი შეასრულა

## ჩვენ ვიყავით!

### ქარვასლაში სიხარული გამოიფინა






## იუვენტუსმა დიდი სირცხვილი აიწნა

### ტურინში თავი აღარ გამოეყოფათ. გამოსაყოფიც აღარაფერი დარჩათ




„იუვეს“ ფანთა გულისთქმა: ჯირაუდო, წადი!

AFP ფოტო

გუშინ ტურინში მოსახდენი მოხდა — „იუვენტუსის“ მმართველი ტრიო გადადგა. მოჯი-ჯირაუდო-ბეტეგა დაიშალა და კლუბის ოფიციალური განცხადებით, საგანგებო კრებასაც მალე მოიწვევენ. ასე აიტალღა სკანდალი, რომელიც „იუვენტუსის“ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯისა და პიერლუიჯი პაირეტოს სატელეფონო საუბრის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო. შეგახსენებთ, რომ მოჯი იტალიელ მსაჯთა ყოფილ შეფ პაირეტოს „იუვენტუსის“ მატჩებისთვის მსაჯებს უკვეთავდა.

გარდა ამისა, დიდ შარში გაყო თავი „იუვეს“ ყოფილმა ფეხბურთელმა მიკელე პადოვანომ, რომელიც ნარკობიზნესში ამხილეს. საქმე ეხება 14 მილიონი ევროს ღირებულების 2 კილო და 300 გრამ ნარკოტიკს. პადოვანოს, მოყვარულთა გუნდ „ალესანდრიის“ გენერალურ დირექტორს, ციხეში უკრეს თავი. ამ ამბავში გარეულია თვით ჯანლუკა ვიალიც, ვისაც პადოვანო ხშირად ესაუბრებოდა ტელეფონით.




## მსაჯი ირანის ურანს ეთამაშება



*მსოფლიოს ჩემპიონატიდან ირანის ნაკრების მოსაკვეთად ევროკავშირმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო და პოლიტიკურ ლიდერებს ამ საქმეში მხარდაჭერა სთხოვა. ევროპარლამენტის წევრები წერილს გაუგზავნიან ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს. უცნობია, პარლამენტის რამდენი წევრი მოაწერს ხელს წერილს. ამ საქმის წამომწყები კი ევროპარლამენტის და ბრიტანეთის კონსერვატული პარტიის წევრი კრის ჰიტონ-ჰარისია. ჰარისმა გაიხსენა, რომ თავის დროზე რასისტული რეჟიმის გამო კრიკეტის და რაგბის დიდი ტურნირებიდან სამხრეთ აფრიკა მოკვეთეს და ფიფაც ასე უნდა მოიქცესო. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა თქვა, ისრაელი რუკიდან უნდა წაიშალოს, ებრაელების გენოციდი კი მითიაო. ხოლო ირანის მოკვეთის მოთხოვნის კიდევ ერთი მიზეზი საქვეყნოდ ცნობილია — ბირთვული იარაღის დამზადება. ყოფილი მსაჯი ჰიტონ-ჰარისი ირანის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონატზე ბაჰრეინის გაშვებას ითხოვს.*

# კახა კალაძე ძმის სახელზე ეკლესიას აშენებს



იტალიური „მილანის“ ქართველი მცველი კახა კალაძე გუშინ თავისი ძმის, ლევანის ორმოცზე ჩამოვიდა და დღეს უკვე მილანში დაბრუნდება. საქართველოში მყოფმა კახამ ერთი საშვილიშვილო საქმეც გააკეთა — სამტრედიაში, სადაც ლევანია დაკრძალული, ეკლესიას აშენებს. საძირკველი უკვე მზადაა და გუშინ მშენებლობა ეკურთხა კიდეც...

— დიახ, ჩემი ძმის ორმოცზე ჩამოვედი, სამტრედიაში კი ეკლესიის მშენებლობა დავიწყეთ — გვითხრა გუშინ კახამ — მორწმუნე კაცი ვარ და მგონი, ქვეყნისთვის სხვა უკეთესს საქმეს ვერ გავაკეთებ.

— მშენებლობა როდის უნდა დამთავრდეს?

— მშენებლების თქმით, ალბათ, ორი წელიწადი დაგვჭირდება. დიდი ეკლესია უნდა გამოვიდეს და მრევლიც მრავლად ეყოლება.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს ამ კეთილ საქმეში... რაკი ახლა აქ ხარ, ვიფიქროთ, რომ სეზონი უკვე დაამთავრე?

— არა, ამაღამვე მილანში მივფრინავ, ბოლო ტური კიდევ სათამაშოა — კვირას „რომასთან“ გვაქვს პრინციპული მატჩი. ერთი დღით ჩამოვედი, ლევანის ორმოცი გადავიხადეთ და ეკლესიის მშენებლობა დავიწყეთ.

— „რომასთან“ ითამაშებ და დაბრუნდები?

— არა, როდის ჩამოვალ, ვერ გეტყვით. „რომასთან“ თამაშის შემდეგ ერთი კვირა მილანში დავრჩები, სათამაშო ფორმას შევინარჩუნებ და მერე საქართველოს ნაკრებს პირდაპირ გერმანიაში შევუერთდები. თბილისშიც ალბათ სანაკრებო მატჩების შემდეგ ჩამოვალ.

**ქობა ინასარიძე**

# ტოპდღის ტოპსემინარი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი 13 მაისს ქართველ მწვრთნელებს სემინარს ჩაუტარებს. ამ იდეის განხორციელებას გერმანელი მწვრთნელი აქამდეც აპირებდა, თუმცა შეზღუდული გრაფიკის გამო ვერ მოახერხა. ახლა კი ყველაფერი გადაწყვეტილიაო, გვამცნო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა.

სემინარს ფედერაციის ტექნიკური ცენტრი „ბასა“ უმასპინძლებს და ტოპმიოლერისა და ქართული კლუბების თავკაცების შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

**კახა შალამბერიძე**

### ინგლისი

პირველი ლიგა
გადასასვლელი პლეი ოფი
ნახევარფინალი. I მატჩები

ბარნსლი 0:1 ჰადერსფილდი
სუონსი 1:1 ბრენტფორდი

კონფერენსლიგა
გადასასვლელი პლეი ოფი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ჰერეფორდი 3:2დ.დ. (2:2) მორეკემბი (1:1)

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
ინტერტოტოს თასის
პლეი ოფი
ფინალი. პირველი მატჩი

ვიტესი 1:1 ტვენტე

### იტალია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

*ინტერი* 3:1 რომა (1:1)

### დანია

თასი
ფინალი

*ესბიერგი* 0:1დ.დ. (0:0) რანდერსი

### ამხანაგური მატჩი

საუდის არაბეთი 1:2 ბელგია

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

ნახევარფინალი

ესპანეთი 0:2 ჩეხეთი
გერმანია 0:1 რუსეთი






# ქარვასლით დაწყებული თასის ფინალით დასრულდება

**ქარვასლაში** გუშინ გაიხსნა და სამ დღეს გასტანს გამოფენა, რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ გამარჯვების 25-ე წლისთავს ეძღვნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას გუშინ, ბუნებრივია, უამრავი სტუმარი ჰყავდა. მთავარი გმირები თბილისის დინამოელები, 1981 წლის 13 მაისის ფინალის მონაწილენი იყვნენ. გამოფენის გახსნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები, კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე, ლეგენდარული „დინამო, დინამოს“ ავტორი ვაჟა აზარაშვილი ესწრებოდნენ. იქვე იყო ანზორ გაბიტაშვილი — თბილისის „დინამოს“ მასაჟისტი, რომელმაც საფინალო სასტვენისთანავე გამოსტაცა ბურთი იტალიელ მსაჯ რიკარდო ლატანცის. დღეს ეს ბურთი თასების თასთან ერთად გამოფენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპონატია.

საფეხბურთო ჩინოსანთა, ვეტერან თუ მოქმედ დინამოელთა გარდა გამოფენას არც ფეხბურთის რიგითი ქომაგი დაჰკლებია და ალბათ 14 მაისამდე ქარვასლაში ასეთი ხალხმრავლობა იქნება.

გამოფენა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ნაწილია საზეიმო ღონისძიებებისა, რომელსაც თბილისის „დინამო“ და ფეხბურთის ფედერაცია გეგმავენ. ზეიმის ფინალური აკორდი საქართველოს თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩი იქნება „ამერსა“ და „ზესტაფონს“ შორის, რომლის დაწყებამდეც პროფესიული ფეხბურთის ლიგა შოუ-პროგრამას შესთავაზებს სტადიონზე მისულ გულშემატკივარს. საქართველოს ჰიმნს „მართვე“ შეასრულებს ასკაციანი შემადგენლობით, მატჩის მსვლელობისას კი ტრიბუნებს რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლი და მედოლეთა შვიდკაციანი ჯგუფი გაამხნევებს. პროგრამის დანარჩენ დეტალებს პროფლიგა სიურპრიზად ინახავს, თუმცა ის კი ცნობილია, რომ საღამოს დუტა სხირტლაძე გაუძღვება.

**გიორგი ნოზაძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრილობამდე აღმასკომი, ფინალამდე ყრილობა

**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება.

სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, აღმასკომი ამ საკითხებს განიხილავს:

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილობის მოსამზადებელი სამუშაოები.
2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტში შექმნილი ვაკანსია.
3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში შესატანი ცვლილებები.
4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-11 ყრილობის რეგლამენტი.
5. სხვადასხვა.

აღმასკომის დასრულების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდება და ახლახან დასრულებულ ჩემპიონატთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ხვალ, თასის ფინალამდე ფედერაციის მე-11 ყრილობა გაიმართება.

**ქახა ზალამბერიძე**

# დინამოს ბორსკი და ტოდოროვი ერგო

## სილაგავა ანდორაში ორ ქართველს წაიყვანს

**უეფას** სამსაჯო კომიტეტმა ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის მატჩების მსაჯები დანიშნა. საქართველოდან ევროეპოპეას პირველი თბილისის „დინამო" იწყებს და 17 ივნისს სომხურ „კილიკიას" ესტუმრება. ამ შეხვედრას პოლონელი მარცინ ბორსკი განსჯის. საპასუხო მატჩი თბილისში 24 ივნისს გაიმართება და არბიტრი ბულგარელი სტანისლავ ტოდოროვი იქნება.

ინტერტოტოს თასის გათამაშებამ გვერდი არც ჩვენს მსაჯებს აუარა — 24 ივნისს ანდორაში ამ ქვეყნის გუნდი სლოვენიურ მეტოქეს დაუხვდება. მატჩს კი ფიფას არბიტრი ლაშა სილაგავა განსჯის, რომელსაც ლევან მიქელაძე და გურამ ჩიგოგიძე დაეხმარებიან.

**გიორგი ნოზაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

# გადათხარეთ მინდორი, გვაჩვენეთ სანახაობა!

## დუტა სხირტლაძე: როცა ორი ბოთლი ლუდი ფეხბურთზე დიდი სიამოვნებაა...



„ბავშვობაში ფეხბურთზე ვაბოდებდი, ახლაც სიამოვნებით ვთამაშობთ ხოლმე თეატრების ჩემპიონატში, მაგრამ სტადიონზე წასვლის სურვილი დიდი ხნის წინ დავკარგე, გულშემატკივარი იმიტომ მიდის სტადიონზე და ბილეთში ფულს იმიტომ ხარჯავს, რომ სიამოვნება მიიღოს, დინამიკა ნახოს, თავადაც მოუნდეს ფორმის ჩაცმა და თამაში. მილიონნახევრიან თბილისში, სულ ცოტა, ასი ათასი ფეხბურთის მანიაკი ხომ მაინც ცხოვრობს, ვისთვისაც 20-ლარიანი ბილეთის შეძენა პრობლემა არაა?! ის ღარიბი გულშემატკივარიც ორ ბოთლ ლუდს მოიკლებს და ბილეთს იყიდის, მაგრამ არ მიდის იმიტომ, რომ ფეხბურთელი მას ორლარიან სანახაობასაც ვერ სთავაზობს“ — ქართულ ფეხბურთზე გულგატეხილ ხალხს რა გამოლევს, მაგრამ **დუტა სხირტლაძის** სიტყვები ნამდვილად ჩააფიქრებს კაცს.

ცნობილი მსახიობი და ცნობილი ტელესახე დუტა თეატრალურ სარდაფში საუბრისას ხშირად მიმეორებდა, ძალიან „დაგგრუზე“ ამდენ პრობლემაზე ლაპარაკით, მაგრამ სათქმელს ვერ ავცდებიო...

**— მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველო გიცნობთ, ფეხბურთზე არცთუ ხშირად გვინახიხართ. რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ფეხბურთს?**

— კარგა ხანია, ფეხბურთს აღარ ვუყურებ, გულგატეხილი ვარ. ფეხბურთი მაყურებლებისთვისაა, ეს არაა ჯოკერი, რომ დავსხდეთ წყვილებში და ჩვენთვის გავერთოთ. გულშემატკივარმა სტადიონზე უნდა ისიამოვნოს, ისეთი შეგრძნება უნდა დარჩეს, რომ თავადაც მოუნდეს თამაში. აქ კი რა ხდება: ქართველი ფეხბურთელები ჩივილზე გადავიდნენ, ფული არ არის, რაზე უნდა ვირბინოთო... მესმის, რომ ზიდანს დიდი შემოსავალი აქვს, მაგრამ ვინაა აქ ზიდანის თუნდაც მეათედი?! არც თეატრალურ სარდაფში არის ფული, მაგრამ თავს ვიკლავთ, რომ მაყურებელი, რომელიც მოდის სპექტაკლის სანახავად და ფულს იხდის, არ გავაწბილოთ.

**— მაგრამ ამ მოსაზრებაში ბევრი შეგედავებათ — პირობები არ არის, რომ ფეხბურთელი გაიზარდოს, არ ვარგა სტადიონები...**

— მაშინ არ უნდა ითამაშო. 21-ე საუკუნეა, ყველა სფეროში შეგიძლია ხუთ წამში ერთხელ ინფორმაციის მიღება, მაყურებელსაც ეს უნდა სტადიონზე: საკმარისია, ხუთი წამი მოთამაშე გაჩერდეს, რომ ქომაგი სტვენას დაუწყებს და ვერც გაამტყუნებ, რადგან ის სტადიონზე მისულია იმისთვის, რომ რაღაც შეიძინოს, დინამიკას ითხოვს. ქართველებს კიდევ ერთი სენი გვჭირს, ძმაკაცი დაუძახებს, წამოდი, დავლიოთო და ისიც, ვარჯიშიც რომ ჰქონდეს, წაჰყვება და რას გააკეთებს მინდორზე ის ფეხბურთელი?! აი, ჩვენთან, თეატრალურ სარდაფში ასე არ არის — მენტალურად აქ ფეხბურთისგან განსხვავებული სიტუაციაა. ერთხელ სპექტაკლის დასაწყისში უხერხულად დავვარდი ტრიუკის შესრულებისას და გატეხილი ლავიწით გავაგრძელე თამაში; ზუკა პაპუაშვილმა ხელმოტეხილმა ითამაშა სპექტაკლი და მერე ჩაუსვეს თაბაშირში.

**— თქვენ არა მარტო საქართველოს ჩემპიონატის, ალბათ, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელ-მწვრთნელებიც იგულისხმეთ, ანუ პროფესიონალიზმის და პატრიოტიზმის დეფიციტია?**

— კოტე მახარაძემ ლეგენდარული სიტყვები, „ლიკუეტ სტალიცა გრუზიი“ რატომ თქვა? იმიტომ, რომ დიდი პატრიოტი იყო, დღეს კი პატრიოტიზმი სადღაც მიიჩქმალა, ქართველი თითქოს შეურაცხმყოფელი სიტყვა გახდა, ვიღაცებს „უტყდებათ“ ქართველობა. ეს რუსეთის გავლენის ბრალი უნდა იყოს, 200 წელი, განსაკუთრებით კი ბოლო 70 წელი, შეგვცვალეს რუსებმა. მე ვიცი, რომ ფეხბურთში ფული იჭმება, მაგრამ გაერთიანდნენ ფეხბურთელები, მწვრთნელები და ეგებ სიტუაცია გამოსწორდეს. რატომ ვაკეთებთ 13 მაისის სათასო ფინალისას შოუს? ეს ემოციის, ჟინის მომტანი უნდა გახდეს. 13-ში მაყურებელი ბილეთში ფულს რომ გადაიხდის, კარგ ფეხბურთს თუ არა, შოუს მაინც ნახავს და გულდამძიმებული არ წავა სახლში.

**— თქვით, თეატრალურ სარდაფში ფეხბურთისგან განსხვავებული მენტალიტეტიაო, რისი შეცვლაც ძნელია. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სანამ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებში არ შეიცვლება მაყურებლისადმი დამოკიდებულება, პროგრესი არ იქნება. რა, ხალხს უჭირს, ბილეთის ფული არა აქვს და იმიტომაა სტადიონზე სიცარიელე?! მილიონნახევრიან თბილისში ასი ათასი გულშემატკივარიც არაა, რომ შეძლებული იყოს და თუნდაც 20 ლარი გადაიხადოს ბილეთში?! ღარიბებიც იყიდიან, ბოლოს და ბოლოს, ათ დღეში ორ ბოთლ ლუდს მოიკლებენ და ბილეთი მოუვათ, მაგრამ... ფეხბურთელი იმ თამაშსაც ვერ სთავაზობს, რომ მაყურებელმა ორი ლარი გაიმეტოს, ორ ბოთლ ლუდში ვერ გაცვლის.

...აი, რაგბი სხვაა, მოედანს თხრიან, ისე თამაშობენ, ჯიგარს დებენ, ომობენ... ჩემი შვილი დამყავს რაგბის მატჩებზე, ფეხბურთზე კი ვერ წავიყვან. უემოციოდ წამოვიდეს სტადიონიდან, არაფერი არ დაამახსოვრდეს?! რად მინდა, ასე ფუჭად დავაკარგვინო დრო?! ისევ ბილეთის ფაქტორს დავუბრუნდები: პაპაჩემს თელავიდან დავყავდი ხოლმე სტადიონზე, ჩვენსავით რეგიონებიდან ათასობით ქომაგი მოდიოდა, მაგრამ მაშინ ყიფიანს, დარასელიას, გუცაევს და შენგელიას ვუყურებდით...

**— საქართველოს ნაკრებს ახლა გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის. უცხოელმა სპეციალისტმა რამდენად შეიძლება, უკეთესობისკენ შეცვალოს ვითარება, ანუ რა სიკეთეს მოიტანს?**

— გერმანელები წესრიგიანი ხალხია, ფეხბურთშიც მათი მთავარი კოზირი დისციპლინაა და თუ ჩვენი ფეხბურთელები ტოპმიოლერს დაუჯერებენ, პროგრესი იქნება. თუმცა შეიძლება ისიც იფიქრონ, რა მჭირს საიმისო, გერმანელმა მიბრძანოსო... მარტო ესეც არაა პრობლემა: ფეხბურთში მთლად დილეტანტი არ ვარ და ვიცი, ზოგი ფეხბურთელი პარტნიორს პასს არ აღირსებს, ჩემზე უკეთესი არ გამოჩნდესო. მერე რა ეშველება, იმას იყიდის რომელიმე ძლიერი გუნდი, თავად კი დარჩება ცარიელი. აი, ჩვენთან თეატრში ასეთი რამ არასოდეს მოხდება.

აბა, უფასოდ შეუშვან მაყურებელი სტადიონზე, გარწმუნებთ, ჩვენნაირი გულშემატკივრობა არავის ექნება, მაგრამ როცა გულშემატკივარი ფულს იხდის, ის პრეტენზიულიც ხდება. გადავიხადე? მორჩა, ვითხოვ სანახაობას! არ შეგიძლია თამაში? მაშინ იშოვე სხვა შემოსავალი, რომ ფეხბურთისგან ფული აღარ მოითხოვო. ასე ვარ მე, „ჯეოსელის“ სახე გავხდი და ამით ვინახავ ოჯახს, თორემ თეატრში რომ დიდი ფინანსები არაა, ეს კარგად იცით — სამაგიეროდ, თეატრია ჩემი საქმე, აქ ვიღებ სიამოვნებას...

**— ქართველი ფეხბურთელებიდან პირადად ვის იცნობთ?**

— ძმებ არველაძეებს.

**— ბავშვობაში, ალბათ, ხშირად თამაშობდით ფეხბურთს...**

— ახლაც ვთამაშობთ ხოლმე, თეატრებს შორის ვაწყობთ ჩემპიონატებს. ერთხელ სატელევიზიო გადაცემისას მაყურებელმა თქვა, რა ესმის დუტას ფეხბურთისო... არც მთლად ასეა საქმე.

**— ალბათ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებს უყურებთ. რომელ ნაკრებს და კლუბს ქომაგობთ?**

— გულიტის ხათრით ჰოლანდიას ვგულშემატკივრობდი, 1994-ში ბაჯოს იტალია მყავდა ფავორიტად. კლუბებში კი, მართალია, ხშირად არ ვუყურებ, მაგრამ „ბარსელონას“ მოგებები მიხარია. პარიზში ვიყავით წასულები, იქიდან ბარსელონაში წავედით და ისე მომეწონა იქაური ხალხი და მთლიანად კატალონია, რომ... თან „ბარსას“ ეს ფეხბურთის მანიაკი და ჯადოქარი რომ ჰყავს, არ ვიცი... აბა, რონალდინიოს შემდეგ დაჯექი და ქართულ ფეხბურთს უყურე, როგორია...

**ილია ნანობაშვილი**



# თასი და არც ერთი კრიმინალი

## ნიკა ქავთარაძე ნათესავებს სტადიონზე იბარებს

ფინალამდე ორი დღე რჩება. ზესტაფონში კი უკვე კარგა ხანია, 13 მაისამდე დარჩენილ საათებს და წუთებს ითვლიან. არანაკლები მოლოდინია დედაქალაქში მყოფ ზესტაფონელებშიც. იმერული მუხტის გადმოსაცემად ფეროსქალაქელ შოუმენ ნიკა ქავთარაძეს მივმართე. თუმცა ვიდრე ინტერვიუს დავიწყებდი, პირველმა აქეთ მკითხა:

— „ამერის“ სტადიონი ხომ გლდანშია?

— გლდანშია.

— ძალიან კარგი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გლდანში ბევრი ზესტაფონელი ცხოვრობს და ისინი „ამერის“ ქომაგებს გამოაკლდებიან...



— აღარ გკითხავ, ფინალზე მიდიხარ თუ არა...

— კარგსაც იზამ. რიტორიკული კითხვები არ გვინდა. სამ ბილეთს ვყიდულობ — ჩემთვის, ჩემი კაცობისთვის და მეობისთვის. ფეხბურთი სულაც რომ არ მაინტერესებდეს, სტადიონზე ისეთ ნათესავებს და ახლობლებს ვნახავ, შარშან 26 მაისის მერე რომ არ მინახავს. აბა, ასეთი შანსის ხელიდან გაშვება იქნება?

— ზედიზედ მეორე წელია, „ზესტაფონი“ ფინალში გადის...

— თასი და განსხვავებული სასმისები გვიყვარს და იმიტომაც. ხომ არ იცი, რამდენლიტრიანია?

— ალბათ სამი-ოთხი.

— რამეს მოვუხერხებთ.

— შარშანდელი 26 მაისი ახსენე და ბარემ „ლოკომოტივთან“ წაგებული თამაშიც გაიხსენე...

— ეჰ, ნეტავ, ღირდეს გასახსენებლად. ვერ დაგვემართა კაი საქმე. „ლოკომოტივმა“ კი ყველანაირად იხეირა. თასი ხომ მოიგო, ერთი მთლიანი მატარებლის ბილეთებიც გაასაღა ზესტაფონელებზე. ამ ამბავში წლეულსაც არ უნდა ნახოს პატარა მოგება. ისე, მეორე მხრივ არც ვნანობ, იმ ფინალში მსაჯმა იონანიძის გოლი რომ არ ჩათვალა. კიდევ კარგი, თასი არ ავიღეთ, თორემ სომხურ „ბანანცს“ ვეჯახებოდით. არიქა, დროზე შემდეგი კითხვა, ამაზე დიდხანს გაჩერება არ შეიძლება.

— ახლა მოიგებს „ზესტაფონი“?

— აუცილებლად! თასი უნდა წავიღოთ. მოგებული უხარია გულს, თორემ მაგისთანა თასს დღეში ასს ჩამოასხამენ ფეროში.

— ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე მაღლა რატომ ვერ ავიდა?

— „არსენალი“, „შალკე“, „ფიორენტინა“, „მარსელი“ — ეს გუნდებიც მეოთხეზე გავიდნენ თავის ჩემპიონატებში.

— ზესტაფონელების საფინალო სამზადისზე რა იცი?

— ქართული ფილმი ხომ იცით — „ზოგი ჭირი მარგებელია“. ჰოდა, იქაა, სოფელს ხორველა დაერევა და დიდიან-პატარიანად ყველა ტყეში გარბის. დაახლოებით ასეა ახლა. ოღონდ ხორველა ფეხბურთია, ტყე კი თბილისი. მაპატიეთ, ვაკელებო. უფრო კონკრეტულად კი ვიცი, რომ ჩემს უბანში ავტობუსის ფულის შეგროვება კარგა ხნის წინ დაუწყიათ. უფასო ავტობუსებიც იქნება, მაგრამ ბევრს თადარიგის აქედანვე დაჭერა ურჩევნია. როგორც ვიცი, მთელი ზესტაფონი შაბათს ელის. დღეს კი ელიავას ბაზრობაზე ორი ჩემთვის უცნობი ზესტაფონელის ლაპარაკს შევესწარი, რაღა თქმა უნდა, თასის ფინალის თაობაზე.

— მაინც რით ჯობს ფინალში პერიფერიის გუნდის გასვლა, მაგალითად, ორი დედაქალაქური გუნდის დაპირისპირებას?

— სპორტულ ამბავშიც ჯობს და ეკონომიკურშიც. წარმოიდგინეთ, რამდენი ნაზუქი გაიყიდება ხაშურში ან რამდენით მეტი მანქანა გამოძვრება გვირაბში. იქნებ იმდენი ფულიც შეუვიდეთ, გვირაბში ანტრესოლის გასაკეთებლადაც ეყოთ. ისე, სერიოზულად, წარმომიდგენია, რა ზეიმი იქნება ზესტაფონში. იმედია, ცამეტი მაისის საფეხბურთო გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს მეც შევიგრძნობ. 1981-ში ორი წლის და შვიდი თვის ვიყავი. თუ მოვიგეთ, გარწმუნებთ, იმ დღეს ზესტაფონში არც ერთი დანაშაული არ მოხდება, რადგან შავიც და თეთრიც თბილისში იქნება წამოსული. არ მოხდება არც ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა. სად გვაქვს ბენზინის ფული. გინდა, ჩემი ერთი ოცნებაც გაგიმხილო?

— ძალიან!

— მინდა, ჩემი შვილი ფეხბურთელი გამოვიდეს და „ზესტაფონიდან“ მაგარ ევროპულ გუნდში გაიყიდოს, მაგრამ ამ ოცნების ახდენამდე უკეთესია, ისევე თასზე ვიფიქრო.

— რას ეტყვი იმერელ ქომაგებს?

— რაც შეიძლება, ბევრი მოვგროვდეთ შაბათს ვაკეში, მაგრამ მთლად ისეც ნუ ვიზამთ, ზესტაფონი უპატრონოდ დავტოვოთ და თერჯოლელებმა საზღვარი გადმოგვიწიონ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# WE ARE THE CHAMPIONS მხოლოდ ჩემპიონობის შემდეგ



*ლევან ხმალაძეს უმაღლეს ლიგაში დებიუტი 2003-2004 წლების სეზონში ჰქონდა, მაშინ ის გია გეგუჩაძის განვრთნილ თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, შემდეგ „ბათუმში“ გაანათხოვრეს, მერე ბოლნისის „სიონში“ და 2005-06 წლების სეზონი მისთვის საუკეთესო გამოდგა — ხმალაძე საქართველოს ჩემპიონი გახდა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს.*

*ლევან ხმალაძე „დინამოში“ მარცხენა ნახევარმცველი იყო, „სიონში“ კი ცენტრალური შუახაზელის პოზიციაზე ითამაშა და საკმაოდ წარმატებითაც...*

## ლევან ხმალაძე: გოლები ურთიერთგატანით გავიტანეთ

— როგორ ფიქრობ, უპირველესად რის ხარჯზე მოიპოვა „სიონმა“ ჩემპიონობა?

— პირველ რიგში, გუნდური თამაშით. მეორე წრეში გადამწყვეტი მატჩები „დინამოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ გვქონდა, ამ გუნდებსაც კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ორივეს, უპირველესად, გუნდური თამაშით მოვუგეთ. ურთიერთგაგება და ურთიერთგატანა — ეს ყველაზე უფრო კარგად ჩვენ მოვახერხეთ.

— პირველი სეზონი არაა, რაც „სიონი“, ასე ვთქვათ, სახლის გუნდად ჩამოყალიბდა...

— ამ ჩემპიონატში შინ 14 მატჩი მოვიგეთ და ერთი ფრედ ვითამაშეთ „ბათუმთან“ — ბოლნისში ამ სეზონში არც ერთ სტუმარს არ ჰქონდა გამარჯვების შანსი. მაყურებელთა მხარდაჭერამ მართლაც ძალიან შეგვიწყო ხელი ჩემპიონობაში.

— „სიონს“ პირველ წრეში ხვიჩა ქასრაშვილი წვრთნიდა, მეორეში — კახა ცხადაძე. მწვრთნელთა ცვლამ გუნდის სათამაშო სტილი მკვეთრად შეცვალა?

— მწვრთნელების გარდა შუა სეზონში რამდენიმე ფეხბურთელიც წავიდა და მოვიდა — ვფიქრობ, ამ ყველაფრით გუნდში განსაკუთრებულად არაფერი შეცვლილა.

— „სიონში“ „დინამოდან“ იყავი განათხოვრებული — სად ითამაშებ მომავალ სეზონში?

— არ ვიცი, ჯერ არც „სიონის“ და არც „დინამოს“ ხელმძღვანელებთან არ მილაპარაკია. კონტრაქტით „დინამოს“ 2007 წლის ბოლომდე ვეკუთვნი.

— ჩემპიონობა და ახალგაზრდული ნაკრების წევრობა — კიდევ რა შეგმატა ამ სეზონმა?

— ჩემპიონ გუნდში 28 მატჩი ვითამაშე, რამაც გამოცდილება შემძინა — ეს სეზონი ჩემთვის მართლაც საუკეთესო იყო. „დინამოში“ ძალიან იშვიათად მიწევდა თამაში, ხოლო „ბათუმი“ მაშინ მოწინავე გუნდი არ იყო, ჩემპიონატში ბოლოდან მეოთხე ადგილზე გავედით.

— ახალგაზრდულ ნაკრებში ორჯერ ითამაშე, ალბანეთთან და მალტასთან — გუნდის თავკაცი რალფ მინგე რაზე აკეთებდა აქცენტს?

— შეტევა და სამი ფორვარდით თამაში. კიდევ ის, რომ მინგეს ძალიან არ უყვარს, როცა მისი ფეხბურთელები ორთაბრძოლებში მარცხდებიან — ამ კომპონენტს მინგე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

— ბევრს ჰგონია, რომ „სიონს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში ძალიან გაუჭირდება...

— რატომ? ევროტურნირებზე თამაში საერთოდ უჭირთ ქართულ გუნდებს და „სიონს“ მათზე მეტად ნამდვილად არ გაუჭირდება — ჩვენ ღირსეულად გავხდით ჩემპიონები.

— მეორე წრეში რამდენჯერმე უკაპიტნე „სიონს“...

— როცა დავით სვანიძე არ თამაშობდა, გუნდის კაპიტანი მე ვიყავი — ეს „სიონის“ მთავარი მწვრთნელის კახა ცხადაძის ინიციატივით მოხდა, რაც დიდი სტიმული გამოდგა ჩემთვის და ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ასე იქნებოდა.

— მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევ?

— ჩემს თანაგუნდელ კოკა მიკუჩაძეს, მან 19 გოლი გაიტანა, აქედან 14 — მეორე წრეში. სწორედ მიკუჩაძის გოლებით მოვუგეთ „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“.

— ფრედი მერკურის WE ARE THE CHAMPIONS — მობილურ ტელეფონზე ასეთი ზუმერი ჩემპიონობის მერე დააყენე?

— ჰო, მგონი, ასე იყო...

**დავით თავართქილაძე**





# რას იტყვის გუგეშაშვილი დღეს სამზარეულოში?

## ტყებუჩავას მეშაქრეზე ამერიც ახსენდება

**21-ე ტურის** წინ „თბილისი“ ბოლო ადგილზე იყო და ხუთი ქულა ჰქონდა. 21-ე ტურიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა გახდა, „თბილისი“ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და ჩემპიონატი მე-14 ადგილზე ჩაამთავრა. ამან „თბილისს“ პლეი ოფში თამაშის უფლება მოაპოვებინა — 14 მაისს თბილისელები ბოლნისში შეერკინებიან პირველ ლიგაში მე-5 ადგილზე გასულ აგარის „მეშაქრეს“.

ამ მატჩში „თბილისი“ ფავორიტია, თუმც მსგავს შეხვედრებში სენსაციებსაც უნდა ველოდოთ ისევე როგორც იმას, რომ „თბილისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მწვავე განცხადებას გააკეთებს...

ერთი სიტყვით, თბილისურ ამბებზე გოჩა ტყებუჩავას და მამუკა გუგეშაშვილს ვესაუბრეთ...

*გოჩა ტყებუჩავა:* ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. შევძლო, უპლეიოფოდაც დავრჩენილიყავით უმაღლეს ლიგაში — რაც გუნდში მოვედი, რვა თამაში მოვიგეთ და ორი წავაგეთ. ახლა „მეშაქრესთან“ მატჩისთვის ვემზადებით, ჩემს ფეხბურთელებს ბოლომდე ვენდობი, შეკრებაზე კი არ გადავსულვართ. ამით ისიც მინდა, რომ თავისუფლად იგრძნონ თავი, არ დაიძაბონ.

— ყველა ფეხბურთელი ჯანზეა?

— ზაზა ზირაქიშვილია ტრავმირებული, დანარჩენები კი ჯანმრთელად არიან. „თბილისში“ ახლა დიდი კონკურენციაა.

— მეტოქეზე რას იტყოდით?

— ნორმალური გუნდია, ერთი მატჩის ვიდეოფირი გვაქვს და ისიც კარგად გვახსოვს, რომ თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრაში „მეშაქრემ“ სტუმრად უმაღლესლიგელ „ამერს“ 2:1 მოუგო.

— თუ „თბილისი“ უმაღლეს ლიგაში დარჩა, მეორე წრეში დამატებულ ფეხბურთელებს შეინარჩუნებს და თქვენც დარჩებით „თბილისში“?

— არ ვიცი, ეს კლუბის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული.

— მეორე წრეში რამდენიმე ტური იყო ჩატარებული, „თბილისმა“ სხვათა გარდა გოჩა ხოჯავა რომ დაიმატა — ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებისთვის მისი მიწვევა ხომ არ გირჩევიათ?

— ეს უკვე გავაკეთე და ვფიქრობ, ახალგაზრდულ ნაკრებში ბესო მიქიაშვილის მოსინჯვაც შეიძლება. სასიხარულოა, რომ 19-წლამდელთა ნაკრებში „თბილისის“ სამი ფეხბურთელია გამოძახებული. ახლა კარგ ფორმაშია „თბილისის“ თითქმის ყველა ფეხბურთელი.

*მამუკა გუგეშაშვილი:* თუ როგორი გუნდი იქნება „თბილისი“ მომავალ სეზონში, ამაზე „მეშაქრესთან“ მატჩის მერე, 15 მაისს დავილაპარაკებთ — ყველაფერს გადავხედავთ და ავწონ-დავწონით. თუ შევატყობთ, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უკეთესი იქნება, ვიფიქრებთ, ღირს თუ არა ასეთ ჩემპიონატში მოთამაშე გუნდისთვის ფულის დახარჯვა, სერიოზული სპონსორის მოძებნაცაა საჭირო.

— მე-17 ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურებში რამდენიმე საეჭვო მატჩი გაიმართა — ჩემპიონატის უკეთესობაში ამასაც გულისხმობთ?

— ამ ეგრეთ წოდებულ საეჭვო მატჩებთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტები მაქვს და მზად ვარ, ამის თაობაზე ქართული ფეხბურთის შიდა სამზარეულოში ვილაპარაკო და თუ ეს არ დააინტერესებს ფედერაციას, პროფლიგას და ჩვენი კლუბების ხელმძღვანელებს, მივხედავთ ბავშვთა ფეხბურთს, ხოლო უმაღლეს ლიგაში მაჩანჩალა გუნდი გვეყოლება. 12 მაისს ფედერაციაში კლუბების ხელმძღვანელთა შეკრებაა, მეც მივალ იქ და ვნახოთ...

**დავით თაგართქილაძე**

# ფინალის ფერები განაწილდა

**13 მაისის** თასის ფინალი საკმაო ინტერესს იწვევს. როგორია, ან „ამერი“, ან „ზესტაფონი“ პირველად მოიპოვებს ტიტულს და ამ მხრივაც იზრდება ინტრიგა.

ერთი პატარა დეტალიც: გადაწყდა, რომ „ამერი“ თეთრი ტრუსებით და თეთრ-ყვითელი მაისურებით, „ზესტაფონი“ კი შავი ტრუსებით და თეთრი მაისურებით ითამაშებს.

# ცხინვალს თავდაცვის მინისტრის სჯერა და თავდასხმის მინისტრის იმედი აქვს

*„ცხინვალი“ უმაღლეს ლიგაში ფეხბურთის ფედერაციის კეთილი ნებით აღზევდა, თუმცა ელიტაში ადგილის შენარჩუნებაში ვისიმე კეთილი ნების კი არა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს.*

*ცხინვალელებს უმაღლეს ლიგაში ადგილისთვის ბრძოლა გადათამაშებაში საკმაოდ ღონიერ და ამბიციურ „გაგრასთან“ მოუწევთ. მეტოქეს გუნდის გენერალური დირექტორი ზურაბ ნასუაშვილიც სათანადოდ აფასებს...*

— რა ვითარებაა გუნდში, როგორ მიდის გადათამაშებისთვის სამზადისი?

— დღეიდან გუნდი შეკრებაზე გადავიყვანეთ, ვცდილობთ, ფეხბურთელებს ყველა პირობა შევუქმნათ, რათა „გაგრასთან“ მატჩს მზადყოფნაში შევხვდეთ. ფეხბურთის ფედერაციამ დიდი საქმე გაგვიკეთა, როცა უმაღლეს ლიგაში დაგვიშვა და გვინდა, მადლობა კარგი თამაშით გადავუხადოთ. თანაც დასამტკიცებელი გვაქვს, რომ ფედერაციის ეს გადაწყვეტილება სამართლიანი და ლოგიკური იყო. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ორჯერ გამოაცხადა, ახალ წელს ცხინვალში უნდა შევხვდეთო. ჩვენ გვინდა, ცხინვალში უმაღლესი ლიგის გუნდით შევიდეთ.

— მეტოქის თამაში თუ გაქვთ ნანახი?

— ჯერ არა, მაგრამ დღეს მივიღებთ მათი თამაშის ვიდეოფირს. ზოგადად ვიცით, რომ „გაგრა“ კარგი, ახალგაზრდული გუნდია.

— ტრავმირებული ხომ არავინ გყავთ?

— დავით დათვაძეს აწუხებს ტრავმა და ექიმები ყველაფერი აკეთებენ, რათა მატჩამდე ფეხზე დააყენონ. დათვაძე ჩვენი თავდასხმის ლიდერია და უმისოდ მართლა გაგვიჭირდება.



— გადათამაშება ერთმატჩიანია. ეს გერჩევნათ თუ შინ და სტუმრად ორი თამაში?

— ერთი მატჩი მაინც რისკია. შეიძლება, რომელიმე გუნდმა მთელი თამაში დაცვაში გაატაროს და მერე პენალტებით უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვოს. ალბათ ორი მატჩის ჯამში უმაღლესლიგელის გამოვლენა უფრო სამართლიანი იქნებოდა.

— როგორც უმაღლეს ლიგაში ნათამაშებ გუნდს, გაქვთ თუ არა მეტოქესთან უპირატესობა?

— ასე ვერ ვიტყვი. უკვე ვთქვი, ერთი მატჩია, ბიჭები დაძაბულები იქნებიან და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არც ფეხბურთელებს სჭირთ რაიმე თავში ასავარდნი — თუ მაგრები ვიყავით, გადათამაშების გარეშე შევინარჩუნებდით ადგილს უმაღლეს ლიგაში. ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. იმედი მაქვს, მიზანს მივაღწევთ.

**გიორგი ნოზაძე**

# პლეი ოფის მისამართები

კვირას და ორშაბათს გასამართი ორი საპლეიოფო მატჩით მიმდინარე საფეხბურთო სეზონი საქართველოში ოფიციალურად დასრულდება. კვირას, 14 მაისს უმაღლესი ლიგის საგზურისთვის გადათამაშებაში უმაღლესის მეცამეტეადგილოსანი „თბილისი“ და პირველი ლიგის მეოთხეადგილოსანი აგარის „მეშაქრე“ შეხვდებიან. მატჩს, რომელიც 16 საათზე დაიწყება, ბოლნისის თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი უმასპინძლებს.

გაირკვა ორშაბათს, 15 მაისს გასამართი მეორე გამატჩის მასპინძელი სტადიონიც — უმაღლეს ლიგაში მეთოთხმეტე ადგილზე გასული „ცხინვალი“ და პირველი ლიგის მესამეადგილოსანი „გაგრა“ გლდანში, „ამერის“ სტადიონზე ითამაშებენ და ეს მატჩიც 16 საათზე დაიწყება.

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# სმიტს დებიუტანტებმა გაუმართლეს

**შოტლანდია 5:1 ბულგარეთი**

1:0 ბოიდი (12), 1:1 ტოდაროვი (25), 2:1 ბოიდი (42), 3:1 მაკფადენი (69), 4:1, 5:1 ბარკი (78, 89)

**შოტლანდია:** ალექსანდერი, მურტი (მაკნამი 83), ანდერსონი, ვეირი, გ. კოლდუელი, ნეისმიტი, ფლეტჩერი, სევერინი (რაე 70), მაკკალოხი (მიურეი 78), ტილი (ბარკი 75), ბოიდი (მაკფადენი 52)

**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი

**ბულგარეთი:** კოლევი (მიხაილოვი 72), ანგელოვი, ტოპუზაკოვი, კირილოვი, კარასლავოვი (იანევი 56), ვაგნერი, ს. პეტროვი, ტელკისკი, ტოდაროვი, ტოდოროვი (ვ. ილიევი 72), დომოვჩისკი (გ. ილიევი 72)

**მწვრთნელი:** ხრისტო სტოიჩკოვი

**გაფრთხილება:** პეტროვი, კოლდუელი, მაკფადენი, ანგელოვი, ვაგნერი

**მსაჯი:** ტასუკე ტამიკავა (იაპონია)

5 780 მაყურებელი

**ევრო 2008-ის** შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქე შოტლანდიის ნაკრები ახლა იაპონიაშია და „კირინის თასზე“ პირველი მატჩი ითამაშა — უოლტერ სმიტის გუნდმა ბულგარეთის ნაკრებს 5:1 მოუგო.

შოტლანდიელები რეინჯერსელმა კრის ბოიდმა დააწინაურა — მას საგოლე პასი მანჩესტერელმა დარენ ფლეტჩერმა მიაწოდა. ბულგარელებმა იორდან ტოდაროვის გოლით გაათანაბრეს, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს ბოიდმა დუბლი მიითვალა — ბულგარელთა მეკარე სტოიან კოლევის შეცდომით ისარგებლა.

მეორე ტაიმში შოტლანდია მეტოქეზე ბევრად უფრო მხნედ და ნედლად გამოიყურებოდა და როცა ევერტონელმა ჯეიმს მაკფადენმა მესამე გაუტანა ბულგარეთს, თამაშმა აზრი დაკარგა. მომდევნო ორი გოლი კი სქოთთაგან რეინჯერსელმა კრის ბარკმა შეაგდო. საინტერესოა, რომ ბარკს და ბოიდს დებიუტი ჰქონდათ.

მომდევნო და ტურნირის ბოლო მატჩს შოტლანდია ხვალ ითამაშებს იაპონიასთან.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ბერბატოვის ყიდვილი



**„ტოტენჰემი“** ლევერკუზენის „ბაიერის“ ფორვად დიმიტარ ბერბატოვს ყიდულობს. ეს ამბავი თავად გერმანულმა კლუბმა გუშინ გააცხადა. „ტოტენჰემელებს უკვე ვესაუბრეთ და ისინი მზად არიან, ჩვენთვის სასურველი თანხა გადაგვიხადონ. ახლა სიტყვა ფეხბურთელზეა“ — თქვა „ბაიერის“ სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა.

დიმიტარ ბერბატოვს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, მაგრამ ლონდონელები მის სანაცვლოდ 15 მილიონ 700 ათას ევროს იხდიან.

„ტოტენჰემს“ ამჟამად ჰყავს სამი ფორვარდი — ეგვიპტელი მიდო, ირლანდიელი რობი კინი და ინგლისელი ჯერმენ დეფო. ბულგარელის გადასვლის შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანს გაუშვებენ.

ბერბატოვმა ამ სეზონში 20 გოლი გაიტანა და ბუნდესლიგის ბომბარდირებში მეორეა მიროსლავ კლოზეს შემდეგ. „ბაიერის“ თავდამსხმელს ეროვნულ ნაკრებში 47-ჯერ უთამაშია, ბუნდესლიგაში კი 2000 წელს გადავიდა სოფიის ცსკა-დან.

„გასაგებია, რომ გერმანიაში გატარებული ექვსი სეზონის შემდეგ ფეხბურთელს კლუბის შეცვლა უნდა და ძალით ვერ დავაკავებთ, მაგრამ გული მწყდება, რომ ასეთ კარგ მოთამაშეს უნდა შეველიოთ“ — განაცხადა ფიოლერმა.

„ბაიერი“ კი ბერბატოვს „ნიურნბერგისა“ და გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდით, შტეფან კისლინგით შეცვლის, რომელიც კლუბმა 5 მილიონ ევროდ შეიძინა.

**ვაჟა ხუციშვილი.**

# ადვოკაატი



**სამხრეთ კორეის** მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა მუნდიალზე წამსვლელთა სია გამოამზეურა. მათ შორისაა 10 ფეხბურთელი, რომლებიც 2002 წლის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავიდნენ, ასევე არის არაერთი ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშე.

„ჩვენ ძალიან დაბალანსებული ნაკრები გვყავს, რომელიც ბევრს გაოცებს. მჯერა, ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია. მერე კი ყველაფერია მოსალოდნელი“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა.

ნაკრების ვეტერანი 35 წლის ჯინ ჩეულ ჩოია. იგი დაცვის ბურჯია. ნახევარდაცვაში ადვოკაატს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ჯი სუნგ პარკი და ტოტენჰემელი იუნგ პიო ლი ჰყავს. თავდასხმაში კი კორეელებს ერთი სერიოზული დანაკლისი აქვთ, მათმა წამყვანმა ფორვარდმა დონგ გუუკ ლიმ მუხლი იტკინა და ახლა აქცენტი მეორე ვეტერანზე, იუნგ ჰვან ანიზე გაკეთდება, რომელიც გერმანულ „დუისბურგშია“. მისი მეწყვილე „სეულის“ 20 წლის ვარსკვლავი ჩუ იონგ პარკი იქნება. არანაკლებ სახიფათონი არიან იაპონური „შიმიცუს“ სწრაფი ფორვარდი ჯაე ჯინ ჩო და ინგლისური „ვულვზის“ ვეტერანი კი ჰეიონ სეოლი.

კარეელებმა მზადება სეულში დაიწყეს, სადაც 23 მაისს სენეგალს, ხოლო სამი დღის მერე ბოსნიას შეხვდებიან. 1 ივნისს ოსლოში ნორვეგიას ესტუმრებიან, ხოლო გერმანიაში გამგზავრებამდე, 4 ივნისს, ედინბურგში განასაც გაეჯიბრებიან.

**კოკი კანდელაკი**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| ვონ-იაე ლი | სუვონ სამსუნგი |
| იონგ-კვანგ კიმი | ჩუნამ დრაგონსი |
| იონგ-დაე კიმი | სეონგნამ ილჰვა |
| **მცველები** | |
| იუნგ-პიო ლი | ტოტენჰემი, ინგლისი |
| დონგ-ჯინ კიმი | ფკ სეული |
| ჯინ-კუი კიმი | ჯუბილო ივატა |
| სანგ-შიკ კიმი | სეონგნამ ილჰვა |
| იონგ-ჩულ კიმი | სეონგნამ ილჰვა |
| ჩონგ-გუგ სონგი | სუვონ სამსუნგი |
| ჯინ-ჩეულ ჩოი | ჩონგბუკ ჰიუნდაი |
| ვონ-ჰეე ჩო | სუვონ სამსუნგი |
| **ნახევარმცველები** | |
| ჯი-სუნგ პარკი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| ნამ-ილ კიმი | სუვონ სამსუნგი |
| ჰო ლი | ულსან იუნდაი |
| ჯი-ჰონ ბაეკი | ფკ სეული |
| ეულ-იონგ ლი | ტრაბზონსფორი, თურქეთი |
| დონ-ჰეონ კიმი | სეონგნამ ილჰვა |
| **თავდამსხმელები** | |
| იუნგ-ჰვან ანი | დუისბურგი, გერმანია |
| ჯაე-ჯინ ჩო | შიმიცუ პულსი |
| ჩუნ-სოო ლი | ულსან ჰიუნდაი |
| კიუნგ-ჰო ჩუნგი | გვანგჯუ სანგმუ |
| ჩუ-იონგ პარკი | ფკ სეული |
| კი-ჰეიონ სეოლი | ვულვერჰემპტონი, ინგლისი |

# იტალიაში კაბინეტები იცლება

## გაქცეულ კარაროს მაცინი დაეწია

**ტურინის** „იუვენტუსის“ გარშემო აგორებულმა სკანდალმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო რომ „შეიწირა“, უკვე მოგეხსენებათ. იგი ავტომატურად შეცვალა ვიცე-პრეზიდენტმა ჯანკარლო აბატემ. გუშინ კი გადადგომის შესახებ განცხადება მეორე ვიცემ, ინოჩენცო მაცინიმაც გააკეთა, რომლის შემცვლელის ვინაობაც ჯერ უცნობია.

„ეს გადაწყვეტილება შექმნილი გარემოების გამო მივიღე. ჩემს პატიოსნებაში არასდროს არავის ეჭვი არ შეჰპარვია და არ მინდა, ეს ოდესმე მოხდეს. ახლა ამ ნაბიჯს გადადგმა აუცილებლად ჩავთვალე. მჯერა, გამოძიება ყველაფერს დაადგენს“ — თქვა მაცინიმ.



მაცინი

ამასობაში ნეაპოლის პროკურატურაში ამოყო თავი ცნობილმა მსაჯმა მასიმო დე სანტისმა, რომლის სახელმაც ასევე გაიელვა მსაჯების მოსყიდვის საქმეში. 44 წლის დე სანტისი პროკურატურაში თავის ადვოკატ სილვია მორეს კანტისთან ერთად გამოცხადდა, რათა ეთქვა, რომ მატჩების გარიგებასთან არანაირი კავშირ არ აქვს. იგი პროკურორ ლეპორესაც ესაუბრა, მაგრამ გარეთ გამოსულმა ჟურნალისტებთან საუბარი იუარა.

პროკურატურამ ფიფას განუცხადა, რომ ყველა სიახლეს ამ საკითხთან დაკავშირებით მყისვე აცნობებს, რადგან დე სანტისი ფიფას არბიტრია და მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა იმსაჯოს, სადაც საეჭვო რეპუტაციის მქონე მსაჯებს არ უშვებენ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# უკრაინის მთავარი ექიმი მეერსმენია

## მალდინიმ ოცწლიანი კონტრაქტი გააფორმა

**ანდრეი შევჩენკო** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მწყობრში იქნება. ამის გარანტიას „მილანის“ ექიმი ჟან პიერ მეერსმენი იძლევა. შეგახსენებთ, რომ „შევა“ გასულ უქმეებზე „პარმასთან“ მატჩში დაშავდა და 25 დღე ვერ ითამაშებს.

„ბოლო ტესტმა დაადასტურა, რომ ანდრეის 25 დღე სჭირდება მუხლის მოსაშუშებლად. 15 დღე უნდა დაისვენოს, ხოლო 10 დღე სარეაბილიტაციო პერიოდია. იგი ვარჯიშს შეძლებს და მუნდიალისთვის ფორმაში იქნება, ამაზე არ უნდა ინერვიულოს“ — თქვა მეერსმენმა.

უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს და პირველი მატჩი 14 ივნისს ესპანეთთან ელის. ბუნებრივია, შევჩენკოს ძალიან სურს ამ ისტორიულ შეხვედრაში თამაში.

მეერსმენმა კი პაოლო მალდინიზე და მასიმო ამბროზინიზეც ისაუბრა. „როსონერის“ უბერებელი კაპიტანი ამ სეზონში ტრავმებმა გატანჯეს და სერია A-ში მხოლოდ 14-ჯერ ითამაშა. ახლა იგი ისევ სერიოზულად დაშავდა და ეგებ კარიერის დასრულებაც გადაწყვიტოს. ტრავმა აქვს ამბროზინისაც, რომელზეც ამბობენ, მომავალი სეზონიდან შეიძლება „ფიორენტინაში“ ითამაშოსო.

ჟან პიერ მეერსმენი: „ორი კვირაა, რაც მალდინიმ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მის მომჯობინებაზე საუბარი ჯერ ადრეა. სიარული შეუძლია, მაგრამ ორი თვე უნდა დავიცადოთ და მერე ვნახოთ, სირბილს რა რეაქცია მოჰყვება. კლინიკაში ვიხუმრეთ კიდეც, თუ პაოლო ამ ტრავმას უპრობლემოდ დაძლევს, შეუძლია კიდევ 20 წელი ითამაშოს. სერიოზულად კი მას სულ ცოტა მორიგი ორი სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება ძალუძს. რაც შეეხება ამბროზინის, გადაჭრით ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა“.

**გიორგი ძაძაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

**H ჯგუფი**

**ესპანეთი, უკრაინა, საუდეთი, ტუნისი**

# გუნდი, რომელსაც გუნდობა როჟეზე ეტყობა



როჟე ლემერი

**1978 წელს** ტუნისი გახდა პირველი აფრიკული ქვეყანა, რომელმაც მსოფლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში მოიგო: ტუნისი—მექსიკა 3:1. შემდეგ იყო მარცხი პოლონეთთან, 0:1 და 0:0 გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგრამ ვიმეორებთ, აქ შემდეგ ეტაპს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენადაც პირველ აზიურ გამარჯვებას, რომელმაც ტუნისელები ისტორიაში შეიყვანა.

მას მერე ტუნისი კიდევ ორჯერ იყო მუნდიალზე, მაგრამ მეორე გამარჯვება ისევ წინ აქვს: 1998 წელს ტუნისელებმა წააგეს ინგლისთან და კოლუმბიასთან, ხოლო რუმინეთთან ფრედ ითამაშეს, ოთხი წლის შემდეგ კი რუსეთთან და იაპონიასთან იწვნიეს მარცხი, ბელგიასთან კი ფრეს მიაღწიეს.

ერთი სიტყვით, ტუნისი გახლდათ ერთ-ერთი იმ ხუთი აფრიკული ქვეყნიდან, რომელთაც 2002 წელს იაპონიასა და კორეაში ითამაშეს და შესაბამისად 2006-ის შესარჩევი კამპანიის წინასწარი ეტაპიდან გაანთავისუფლეს.

შესარჩევი კამპანია ტუნისმა ყინჩად დაიწყო, რადგან ზურგს 2004 წლის აფრიკის ეროვნებათა თასზე გამარჯვება უმაგრებდა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის როჟე ლემერის ქვეშევრდომებმა ამ შეჯიბრების ფინალში, საკუთარ კედლებში, „რადეს სტადიონზე“, 60 ათასი მაყურებლის თვალწინ 2:1 მოუგეს მაროკოს, რომელსაც, სხვათაშორის, შემდეგ შესარჩევშიც შეხვდნენ და ორი ფრე, 1:1 და 2:2 ითამაშეს.

საბოლოოდ, ტუნისი გერმანიაში ყოველგარი ღელვისა და ექსცესის გარეშე მოხვდა. კამპანიის მანძილზე ლემერის გუნდმა მხოლოდ ერთხელ წააგო, 1:2 გვინეასთან, სხვა მხრივ კი ცხრილში ექვსი გამარჯვება და სამი ფრე ეწერათ.

და ბოლოს, ტუნისმა შთაბეჭდილება 2005 წელს, გერმანიაში ჩატარებულ კონფედერაციათა თასზეც მოახდინა, ასე, რომ 9 ივნისიდან გერმანიაში ანგარიშგასაწევ ძალას უნდა ველოდეთ.



ჰატემ ტრაბელსი

* * *

*შესარჩევის ვარსკვლავი.* მართალია, გადამწყვეტი გოლი ჩადლიმ გაიტანა, მაგრამ მთელ შესარჩევ კამპანიაში ექვსი შედეგიანი დარტყმით თავი ფრანსელინო დუშ სანტუშმა გამოიჩინა და ჩვენც მასზე შევჩერდეთ. 1979 წლის 20 მარტს, ბრაზილიურ ქალაქ ვედაკაში დაბადებულ ამ ფეხბურთელს ტუნისელობა 2003 წლის დეკემბრიდან უწევს. ეს ფეხბურთელი სამშობლოში ერთ პატარა და არაფრისმთქმელ გუნდ „სამპაიო კორეაში“ თამაშობდა, სადაც ლიეჟის „სტანდარდის“ სკაუტებმა იპოვეს, თუმცა მისი ბელგიური კარიერა უიღბლო გამოდგა და ყმაწვილმა სანტუშმა კვლავ ჩაალაგა ჩემოდანი. ამჯერად მას ტუნისში მოუხდა გადასახლება, სადაც „ეტოილ დუ საჰელში“ დაიწყო ბურთაობა, ცნობილი მწვრთნელის ჟან ფერნანდესის ხელმძღვანელობით. და რითია ჟან ფერნანდესი ცნობილი? იმით, რომ მან ზინედინ ზიდანი აღმოაჩინა.

ამ გუნდში გატარებული ორი სეზონის შემდეგ სანტუში ფრანგულ „სოშოში“ გადავიდა და მისი დახმარებით მეორე დივიზიონის გუნდი სულ ზევით-ზევით ავიდა, 2003-04 წლების სეზონში კი ქვეყნის ლიგის თასიც მოიგო.

2005 წლის ივლისიდან ნატურალიზებული ტუნისელი „ტულუზში“ თამაშობს.



დუშ სანტუში

* * *

*მწვრთნელი:* როჟე ლემერი სწორედ ის კაცია, რომელმაც 1998 წელს ემე ჟაკესგან მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ჩაიბარა და 2000 წელს ევროპის ჩემპიონი გახადა.

ტუნისელთა შეფი ნორმანდიელი ლემერი 2002 წელს გახდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004-ში აფრიკის თასიც მოაგებინა.

ლემერის ცნობილი გამოთქმაა: „მე ვარ და ყოველთვის ვიქნები საფრანგეთის ნაკრების ქომაგი ნომერი ერთი“.

ტუნისელთა თავკაცს გაუწვრთნია საფრანგეთის არმიის ნაკრები, „რედ სტარი“, „ლანსი“, „პარი სენ ჟერმენი“, „სტრასბური“ და „ესპერანს დე ტუნისი“. ამათგან, „რედ სტარს“ და „ლანსს“ ის ორჯერ ჩადგომია სათავეში.

* * *

*კაპიტანი:* რიად ბუაზიზი 32 წლისაა და ნაკრებში 50-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული. ეს შუა ნახევარმცველი ცნობილია ღონიერი ორთაბრძოლებით.

* * *

*ლეგენდა:* ტარაკ დჰიაბი 1954 წლის 15 ივლისს დაბადებული კაცია, რომელსაც ნაკრების მაისურა 107-ჯერ სცმია, ოღონდ ფიფამ ეს რიცხვი არ გაუფორმა.

1977 წელს დჰიაბმ „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით



ბუაზიზი

აფრიკის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო, ხოლო 1978 წელს ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა.

* * *

***ახლანდელი ვარსკვლავი.*** „აიაქსის“ მცველი ჰატემ ტრაბელსი ქებას ნამდვილად იმსახურებს. ის სოლიდური მცველია, 28 წლის, უთამაშია 1998 და 2002 წლების მუნდიალებზე. არის 2004 წლის აფრიკის ეროვნებათა თასის მფლობელი. ის სხარტია და შეტევაში ჩართვა ეხერხება.

\+ ტუნისის ნაკრებში განსაკუთრებული სიკაშკაშის ვარსკვლავები არ არიან, მაგრამ ის სანიმუშო ერთსულოვნებით გამოირჩევა. გარდა ამისა გუნდს როჟე ლემერი წვრთნის.

— შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატის მასშტაბმა დათრგუნოს და პატარა გუნდის კომპლექსი აუმოქმედდეს.

* * *

***აზრი:*** „ეს იქნება პირველი მუნდიალი, რომელშიც ტუნისი მეორე ეტაპზე გავა. ლემერმა გუნდს არნახული ერთსულოვნება შესძინა. გარდა ამისა ლემერისავე წყალობით გუნდი სტაბილურია“ — ოსასუ ობაიუვა, ჟურნალისტი.

### ტუნისის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 14 ივნისი | ტუნისი — საუდეთი | მიუნხენი |
| 19 ივნისი | ესპანეთი — ტუნისი | შტუტგარტი |
| 23 ივნისი, | უკრაინა — ტუნისი | ბერლინი |

### ტუნისის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 05.06.2004 | ტუნისი — ბოტსვანა | 4:1 |
| 20.06.2004 | გვინეა — ტუნისი | 2:1 |
| 04.09.2004 | მაროკო — ტუნისი | 1:1 |
| 09.10.2004 | მალავი — ტუნისი | 2:2 |
| 26.03.2005 | ტუნისი — მალავი | 7:0 |
| 04.06.2005 | ბოტსვანა — ტუნისი | 1:3 |
| 11.06.2005 | ტუნისი — გვინეა | 2:0 |
| 17.08.2005 | ტუნისი — კენია | 1:0 |
| 03.09.2005 | კენია — ტუნისი | 0:2 |
| 08.10.2005 | ტუნისი — მაროკო | 2:2 |

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 10 | 6 | 3 | 1 | 25:9 | 21 |
| მაროკო | 10 | 5 | 5 | 0 | 17:7 | 20 |
| გვინეა | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | 17 |
| კენია | 10 | 3 | 1 | 6 | 8:17 | 10 |
| ბოტსვანა | 10 | 3 | 0 | 7 | 10:18 | 9 |
| მალავი | 10 | 1 | 3 | 6 | 12:26 | 6 |

# პაოლო კოელიო: პელე? არა, გარინჩა!

**პაოლო კოელიო ბრაზილიელი მწერალია, რომლის წიგნებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოს იპყრობს. ყველაზე მეტად მისი წიგნებიდან „ალქიმიკოსია“ ცნობილი, თუმცა... თუ ვინმემ მაინც ვერ გაიგო ვისთან და რატომ აილო ეს ინტერვიუ ფიფას ჟურნალისტმა, წარმოიდგინოს, რომ კოელიო თანამედროვე მწერლობაში თითქმის იგივეა, რაც რონალდინიო ფეხბურთში და გასაგები გახდება. ჰოდა, მაშ მწერალ რონალდინიოს დავუთმოთ სიტყვა**



**— რა ურთიერთობა გაქვთ და ფეხბურთთან?**

— საერთოდ, ბრაზილიელები ფეხბურთითა და მუსიკით იბადებიან. რაც შემეხება პირადად მე, ცხოვრებაში ტოლერანტი ვარ, მაგრამ ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრებს ვეთაყვანები და მორჩა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მოგეხსენებათ, ცნობილი მწერალი გახლავართ და უცხოეთში ყოფნისას მუზეუმებსა და თეატრებში მპატიჟებენ, მაგრამ ხშირად მე ყველაფერზე უარს ვეუბნები და ფეხბურთზე მივდივარ.

**— თქვენი წიგნები მრავალ ენაზეა ნათარგმნი, ფეხბურთელები კი უნივერსალურ ენაზე საუბრობენ. გამოდის, თქვენ და ისინი მსოფლიო მასშტაბის შემოქმედნი ხართ.**

— ფეხბურთი ხელოვნებაა. მეტიც კია. მე ყოველ წელიწადს მპატიჟებენ დაოსში, სადაც მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი იმართება. წლეულს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორთან და ჟურნალისტთან ერთად ვმონაწილეობდი სესიაში, სადაც ჩვენი განხილვის თემა გახლდათ „ყველაფერი ის, რაც მსოფლიოს აბრუნებს და მათი ზეგავლენა ბედნიერებაზე“. იქ მე ვთქვი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ფეხბურთია, რადგან ის ხელოვნების ყველასთვის გასაგები სფეროა. ის ადამიანებს აერთიანებს და ზეიმის წინაპირობას ქმნის. ფეხბურთი გუნდური სულისკვეთების ჩინებული მაგალითია, ოღონდ მასში ინდივიდუალიზმიც ფრიად არის წაქეზებული. საზოგადოებამ ფეხბურთი მაგალითად უნდა წარმოიდგინოს. ჩვენ ერთად, ჯგუფად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ და იმავდროულად ერთმანეთის პიროვნებას პატივი უნდა ვცეთ. ფეხბურთი დიადი მეტაფორაა, მსოფლიოს ჩემპიონატი კი გამოცდილებისა და ინდივიდუალიზმის შეზავების საუცხოო მაგალითი გახლავთ.

**— ბრაზილიის ნაკრების გარდა ვინმეს ქომაგობთ?**

— ბავშვობაში „ბოტაფოგოს“ ფანი ვიყავი, შემდეგ კი „ვასკუ და გამაზე“ გადავერთე. დღემდე ეს ორი გუნდი მიმაჩნია ჩემად. ადამიანისა და ფეხბურთის გუნდის ურთიერთობა ჯადოსნური და მუდმივი რამ არის.

**— მოდი, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვისაუბროთ და თქვენი პირველი მოგონება გაგვიზიარეთ.**

— ათი წლისას დიდი ოცნება ამიხდა, ბრაზილიამ 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. მაშინ ტელევიზია არ იყო და თამაშებს რადიორეპორტაჟით ვეცნობოდით. რადიოს წყალობით თვალწინ მედგა ყველაფერი თუ რა ხდებოდა შვედეთში, ათასობით კილომეტრის მოშორებით. მახსოვს კარნავალის ატმოსფერო ჩემს გარშემო. თამაშები რომ იწყებოდა, რელიგიური დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე. ფინალში თავიდან 0:1-ს ვაგებდით და ყველა ცხვირჩამოშვებული იჯდა, თუმცა საბოლოოდ 5:2 მოვიგეთ. მაშინ ბრაზილიის ნაკრები თავად ბრაზილიის სინონიმი იყო.

**— ხოლო 1950 წელზე, როდესაც ბრაზილიას „მარაკანაზე“ საოცრად გაუცრუვდა გული, ჩემპიონი კი ურუგვაი გახდა, თქვენ ბუნებრივია მხოლოდ გადმოცემით იცით.**

— იმ ამბავს მერე მიყვებოდნენ. მაშინდელმა ფინალმა „მარაკანა“ და მთელი ბრაზილია უბრალოდ დაშინებული დატოვა. თქვენ წარმოიდგინეთ, „მარაკანას“ მოედნის ერთ ბოლოს დღემდე ურუგვაელი გიჯას სახელს უწოდებენ. სწორედ გიჯამ გაიტანა იმ თამაშში გამარჯვების გოლი.

**— ხოლო 1970 წელს, მექსიკაში, ბრაზილია განსაკუთრებულ ფეხბურთს თამაშობდა, რადგან პელე და კომპანია ჰყავდა.**

— არ დაგიმალავთ და იმ ჩემპიონატს რომ ვიხსენებ, წინააღმდეგობრივი განცდა მეუფლება. იმ წლებში ბრაზილიას დიქტატორი პრეზიდენტი მედიჩი მართავდა და ფეხბურთს პატრიოტიზმის პროპაგანდად იყენებდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. ჩემპიონობამ, ბუნებრივია, დიდი სიხარული მოგვიტანა, მაგრამ მანვე მიგვავიწყა ბევრი ცუდი ამბავი. მაგალითად, მწვრთნელი ჟოაო სალდანია ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე იმიტომ მოხსნეს, რომ ნაკრებში არ მიჰყავდა დარიო, ფეხბურთელი, რომლის წაყვანაც პრეზიდენტს სურდა.

**— ფეხბურთს ასე, ალბათ, იმიტომ აღიქვამდით, რომ ბავშვი აღარ იყავით.**

— არა. მთელ მსოფლიოში, ფეხბურთის ცქერისას ნებისმიერი ასაკის ადამიანი ბავშვი ხდება. თუნდაც კვირაში ერთხელ ბავშვად ქცევა და ემოციების ამოფრქვევა დიდი ბედნიერებაა.

**— 1970 წლის შემდეგ ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დიდი ხნის შემდეგ, 1994-შილა მოიპოვა.**

— იცით, 1974 წელი, იოჰან კრუიფი და ჰოლანდიის ნაკრები ცხადად მახსოვს. ბრაზილიელები იმ ნაკრებს და მათ ტოტალურ ფეხბურთს უდიდეს პატივს ვცემთ. 1986 წელს, მეოთხედფინალში საფრანგეთთან პენალტებით რომ წავაგეთ, ალბათ ყველაზე ცუდ დღეში ვიყავით. თამაშის მსვლელობისას ზიკომ პენალტი რომ ვერ გაიტანა კაცმა კიდევ შეიძლება დააბრალო ნერვებს, მაგრამ მერე, პენალტების სერიაში სოკრატესმაც იგივე რომ გაიმეორა, უკვე მეტისმეტი იყო. მთელი ერი გოლს ელოდა, ის კი არც მეტი არც ნაკლები ამპარტავნულად მოიქცა და ისე დაარტყა პენალტი.

**— 1994 წელს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ პენალტების სერიამ გახადა.**

— ფინალში იტალიასთან საშინლად ინტენსიური თამაში იყო. დამატებითი დრო რომ დაინიშნა, ვეღარ გავუძელი, მეუღლეს დავუძახე წამო სანაპიროზე გავისეირნოთ მეთქი. მოვიგეთ თუ წავაგეთ რიოს რეაქციაზე მივხვდებოდი. და მართლაც, საოცარი რამ მოხდა. ქალაქმა თითოეული პენალტი დამიხატა თვალწინ. სამარისებური დუმილი და სიხარულის ყიჟინა ცვლიდნენ ერთმანეთს ყოველი თერთმეტმეტრიანი დარტყმის დროს. შემდეგ დუნგა თასით ხელში დიდებული სანახავი იყო. ეს ფეხბურთელი ღირსი იყო თასი რომ აღემართა, რადგან მას ჯეროვან პატივს დიდ ხანს არ სცემდნენ.

**— ოდესმე დასწრებიხართ მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშს?**

— არა, მაგრამ ახლა დავესწრები გახსნის თამაშს და ბრაზილიის ნაკრების ყველა მატჩს.

**— თქვენ რომ ფეხბურთელი ყოფილიყავით, რომელ პოზიციაზე ითამაშებდით?**

— შეტევაში.

**— ახალგაზრდობაში თამაშობდით?**

— ისევე, როგორც ყველა ბრაზილიელი. 3-5-2 სისტემაში 9 ნომერი გახლდით.

**— ვინ არის თქვენი ფავორიტი „ალქიმიკოსი“?**

— სკოლარი დიდი მწვრთნელია, ცუდი არც პარეირაა. ახალგარდაცვლილი ტელე სანტანაც კარგი იყო თავის საქმეში. უნდა ვახსენო ვისენტე ფეოლაც, რომელსაც დიადი გუნდი ჰყავდა: პელე, ვავა, ამარილდო... მან ამ მოთამაშეებს თავის გამოსახვის საშუალება დაუტოვა და ასე მიიღო გამარჯვებული გუნდი.

**— იმ ფეხბურთელთაგან, რომელსაც თქვენ შეხვედრიხართ, რომელმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— სხვათაშორის, „ალქიმიკოსი“ ფეხბურთელების საყვარელი წიგნია და საფრანგეთში, 1998 წელს მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა პელემ. იცით, რას გეტყვით, პელე ბრაზილიაში სულაც არ არის საყოველთაო კერპი. ათი ბრაზილიელიდან ხუთი გეტყვით, რომ ის კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ... და თავის შეხედულებას მოგახსენებთ. ჩვენ ტრაგედიებს ვცემთ პატივს. ჩვენ ვაღმერთებთ გარინჩას, რომელიც ცხოვრებამ ტანჯა.

**— ფეხბურთზე ოდესმე რამე დაგიწერიათ?**

— 1998 წელს ერთი ფრანგული გაზეთისთვის დავწერე რამდენიმე სტატია.

**— ფეხბურთზე რომანი რომ დაგეწერათ, ვინ იქნებოდა მთავარი გმირი?**

— ყველაზე მეტად ლიტერატურულ პერსონაჟებს მეკარეები გვანან, მაგრამ მგონი მთავარი გმირი მთელი გუნდი უნდა იყოს. და კიდევ, ყველას ყურადღებას რომ იპყრობს, ასეთი ბურთია.

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „რედინგის“ თავკაცმა სტივ კოპელმა კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „რედინგმა“ პრემიერლიგის საგზური მოიპოვა ისტორიაში პირველად და ეს სწორედ კოპელის დამსახურებაა.

**გერმანიის** ნაკრების და დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი კრისტოფ მეცელდერი ვარჯიშზე დაშავდა და ორი კვირა დასვენება მოუწევს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომჯობინდება.

**ფრანგულმა** „სედანმა“ ორი ფეხბურთელი შეიძინა — „ტულონის“ ნახევარმცველი ჟერომ ლემუა და „სენტ ეტიენის“ ფორვარდი ნიკოლა მარენი. „სედანი“ მომავალი სეზონიდან საფრანგეთის პირველ დივიზიონში ითამაშებს და შემადგენლობას აძლიერებს.

**ინგლისურმა** „შეფილდ იუნაიტედმა“ მწვრთნელ ნეილ უორნოკთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. უორნოკის თავკაცობით გუნდი პრემიერლიგას დაუბრუნდა და მწვრთნელმა ჯილდოდ ახალი კონტრაქტი მიიღო.

**გერმანულმა** „აინტრახტმა“ „კიოლნის“ ნახევარმცველი ალბერტ შტრეიტი შეიძინა. 26 წლის ფეხბურთელმა კარიერა სწორედ ამ კლუბში 2000 წელს დაიწყო, საიდანაც „ვოლფსბურგში“, მერე კი „კიოლნში“ გადავიდა. კიოლნელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნენ, შტრეიტმა კი თავს უშველა და „აინტრახტთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**ფრანგული** „მონაკოს“ იტალიელ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის სეზონის დასრულებისთანავე გაუშვებენ. სამთავროს კლუბი გვიდოლინის მუშაობით უკმაყოფილოა. „მონაკოს“ ახალი თავკაცი კი კლოდ პუელი („ლილი“) ან ჟან ფერნანდესი („მარსელი“) გახდება.

**ინგლისურ** „ტოტენჰემს“ პრემიერლიგის შეფებმა „ვესტ ჰემთან“ მატჩის გადათამაშებაზე უარი უთხრეს. შეგახსენებთ, რომ ტოტენჰემელთა რამდენიმე ფეხბურთელი თამაშის წინ მოიწამლა. დაავადებულებმა „ვესტ ჰემთან“ შეხვედრა წააგეს. შესაბამისად მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური დაკარგეს.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა“ „ფიურტისა“ და გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი რობერტ ჰილბერტი იყიდა. ჰილბერტის სანაცვლოდ „ფიურტმა“ მილიონ 300 ათასი ევრო მიიღო, ხოლო ფეხბურთელმა „შტუტგარტთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ფრანგული** „მეცის“ მწვრთნელი ფრანსის დე ტადეო გახდა. „მეცი“ მეორე დივიზიონში ჩაქვეითდა, რის გამოც ჟოელ მიულერი მოხსნეს და გუნდს მომავალი სეზონიდან დე ტადეო უთავკაცებს.

# უეფას თასი 2005-2006. ფინალი

# ფეხზე გაიხადე და კამერისკენ წამოდი



ენცო მარესკა



ესპანეთის პრინცმა დონ ფელიპემ თასით გაიხარა

### ეინდჰოვენი. „ფილიპსი". 34 000 მაყურებელი

**მიდლსბრო (ინგლისი) 0:4 სევილია (ესპანეთი)**

0:1 ლუის ფაბიანო (27), 0:2, 0:3 მარესკა (78, 84), 0:4 კანუტი (89)
**მიდლსბრო:** შვარცერი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ (აიეგბენი 70), პარნაბი, მორისონი (მაკარონე 46), ბოატენგი, როჩემბაკი, დაუნინგი, ვიდუკა (კეტერმოლი 86), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
**სევილია:** პალოპი, ხავი ნავარო, დანიელ ალვესი, ესკუდე, დავიდ კასტედო, ხესუს ნავასი, მარესკა, მარტი, ადრიანო კორეირა (პუერტა 86), ლუის ფაბიანო (რენატო 72), სავიოლა (კანუტი 46)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დანიელ ალვესი (53), ესკუდე (81), როჩემბაკი (83), მარესკა (85)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**ანდალუზიურმა** „სევილიამ" საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა — ხუანდე რამოსის კლუბმა საამსეზონოდ თავისი **CENTENARIO**, ანუ დაარსებიდან 100 წლის იუბილე უეფას თასით შეამკო...

აქამდე „სევილიას" ერთხელ, 1964 წელს შინაური პრიმერა და რამდენჯერმე ქვეყნის თასი მოეგო, ახლა კი შეუძლია, მთელი ესპანეთის სასიხარულოდ დიდევროპული ჯილდოთი დატკბეს.

ეინდჰოვენის „ფილიპსის" არენაზე ფინალში „სევილიამ" სტივ მაკლარენის „მიდლსბრო" ყოველმხრივ დაჯაბნა. ალბათ, ინგლისში ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მეოთხედფინალში „ბაზელთან" და ნახევარფინალში „სტიაუასთან" გმირულად მებრძოლი „ბორო", რომელსაც თასამდე ნაბიჯიღა აშორებდა, ასე შერცხვებოდა ესპანელებთან. ალვესმა და ადრიანომ, ორმა ბრაზილიელმა „მწევარმა", ფლანგები ხელში ჩაიგდეს და საუთგეიტს, რიგოტსა და მეკარე შვარცერს თავიდანვე სისხლი გაუშრეს. ხსენებული „მწევრების" და შესანიშნავად მობურთავე ენცო მარესკას იერიშებს ავსტრალიელი შვარცერი გაჭირვებით იგერიებდა. პირველი, ისტორიული გოლი „სევილიამ" 27-ე წუთზე გაიტანა — ალვესის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ლუის ფაბიანომ დაჰკრა ზუსტი თავური. გუნდები შესვენებაზე ამ ანგარიშით წავიდნენ. მეორე ტაიმში მძიმე ბრძოლა გაჩაღდა, უპირატესობას სევილიელები ფლობდნენ, თუმც ანგარიშის გათანაბრება „ბოროსაც" შეეძლო — მცველებისგან თავდახსნილმა მარკ ვიდუკამ ანდრეს პალოპს ახლო მანძილიდან დაურტყა, მაგრამ ესპანელთა მეკარეს ვერაფერი მოუხერხა. მერე მედიასთან ამბობდა ავსტრალიელი ფორვარდი, აფსუს, ის გოლი რომ შემეგდო, საფინალო ომი სულ სხვანაირად წარიმართებოდაო... შეიძლება, ასეც ყოფილიყო, თუმცა ინგლისელ ფანებს რეალობაში 78-ე წუთზე კიდევ ერთხელ გაუსკდათ გული — მეკარის მოგერიებულს მარესკამ დაამატა და 0:2. შემდეგ იგივე მარესკა, მერე კანუტი და მეხდაცემულმა ალბიონელებმა საბოლოოდ 0:4 იხილეს.

ცხადია, თამაშის შემდეგ დიდი სევილიური ფიესტა გაჩაღდა „ფილიპსის" სტადიონზე. ცალკე ტრიბუნაზე მყოფ სამხრეთელებს მოსდიოდათ სიხარულის ცრემლები და ცალკე იმ ათი ათას ალტაცებულ ინჩასს, სევილიაში დარჩენილები ქალაქის მთავარ მოედანზე დამონტაჟებული ვეებერთელა ეკრანის წინ ქალიან-კაციანად ერთად რომ ბლაოდნენ. მოედანზე თასის გადაცემისას ესპანეთის ტახტის მემკვიდრე დონ ფელიპე ბურბონი შევიდა და სანუკვარი ჯილდო რამდენჯერმე ალმართა „სევილიას" ფეხბურთელივით... ენცო მარესკა მოედანზე ჩამოჯდა, ფეხთ გაიხადა და პატარა ბალღივით კარგა ხანს უტრიალა ტელეკამერას ბუცი — „ბოროს" დამაქცევარი ორი გოლი ამით გავიტანეო. ესპანეთის ტელევიზიის ჟურნალისტები მოზეიმე ხალხში თავქაჯშეყრილები დაქროდნენ და ერთი მაგარზე მაგარი კაციც აღმოაჩინეს — „სეველიას" ამ შარფს რომ ხედავთ, ისტორიულია, 1905 წლიდან მოგვყვება. ადრე ბაბუას ეკეთა, მერე მამაჩემს და ახლა უეფას თასს ჩემთან ერთად ზეიმობს" — დაიღრიალა გულშემატკივარმა მიკროფონში და „სევილიას" ხნის გაცრეცილი შარფიც ააფრიალა...

„არნახული სიხარულია ჩემთვის და მთლიანად კლუბისთვის. „სევილიასთვის" ეს, უეფას პირველი თასი და საერთოდ ბოლო ორმოცდაათწლეულში პირველი ჯილდოა" — განაცხადა ანდალუზიელთა თავკაცმა ხუანდე რამოსმა. ამ კაცს „სევილიას" ყველა ფანი ალმერთებს. არადა, თავის დროზე „მოსისხლე მტის" გუნდში, „ბეტისში" მწვრთნელობდა...

„სევილიამ" ნამდვილად გვაჯობა. თუმცა მსაჯებიც მეტოქის სასარგებლოდ რამდენჯერმე შეცდნენ. მიუხედავად დიდი ანგარიშით წაგებისა ჩემი ფეხბურთელებით მაინც ვიამაყებ" — თქვა სტივ მაკლარენმა მედიასთან. სტივისთვის უეფას თასი და საერთოდ, „ბორო" წარსულს მიბარდა, მუნდიალის მერე ნაკრებს უხელმძღვანელებს და იქნებ ეროვნული გუნდის წარმატებით მაინც გაახაროს ძველი, კეთილი ინგლისი.

**ლადო ხომერიკი**






ხუანდე რამოსი

# ჰოლანდიელის ავანსი
## ფული გზაში დამაწიეთ



**რუუდ ვან ნისტელროი** „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლის სანაცვლოდ 4 მილიონ 500 ათას გირვანქას ითხოვს.

კლუბმა ჰოლანდიელი ტრანსფერზე დააყენა და დაახლოებით 8 მილიონ გირვანქას ელის, მაგრამ მისი მყიდველი ჯერ არ გამოჩენილა. არადა, ფეხბურთელს მანჩესტერელებთან კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს და სწორედ მისი დარღვევის გამო მოითხოვა კომპენსაცია. 4 მილიონ 500 ათასი ვან ნისტელროის ორი წლის ჯამაგირია, ის კვირაში 90 ათას გირვანქას იჯიბავდა.

ამჟამად ფორვარდი სამშობლოშია და ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. სერ ალექს ფერგიუსონმა უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედის" ბაზაზე შენი ფეხი არ ვნახოო.

შეგახსენებთ, რომ ვან ნისტელროი მწვრთნელმა კრიშტიანუ რონალდუსთან მეორედ ჩხუბის გამო გააგდო. ამბავი კი 7 მაისს მოხდა. როგორც ჩანს, ფერგიუსონს ჰოლანდიელის გაგდება საკმაოდ ძვირი დაუჯდება.

# ოქროს ხელთათმანები
## პამპერსში რეინას კარში


ხოსე რეინა

**ინგლისის** პრემიერლიგის ოფიციალურმა სპონსორმა **BARCLAY**-მ სეზონის საუკეთესო მეკარედ „ლივერპულის" ხოსე რეინა დაასახელა და „ოქროს ხელთათმანები" გადასცა, ხოლო აპრილის საუკეთესო მოთამაშედ — მისი თანაგუნდელი სტივენ ჯერარდი.

„ლივერპულმა" აპრილში მართლაც კარგად ითამაშა. სტუმრად „ვესტ ბრომვიჩი" და „ბლექბერნი" დაამარცხა, ხოლო შინ „ბოლტონი" და „ასტონ ვილა". ჯერარდმა ორი გოლი გაიტანა და მთლიანობაში ჩინებულად გამოიყურებოდა.

რეინამ 20 მატჩში კარი მშრალად შეინახა და მთელი სეზონი დამაჯერებლად ჩაატარა. გაუსწრო „მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერ ედვინ ვან დერ სარს (18 გოლგაუშვებელი მატჩი), „ოქროს ხელთათმანების" წინა მფლობელს, ჩელსელ პეტრ ჩეხს (17), ბლექბერნელ ბრედ ფრიდელსა და არსენალელ იენს ლემანს (16).

**BARCLAY**-ს დირექტორი მეტ ეპლბაი: „ის, რომ რეინამ პრემიერლიგაში თავის პირველსავე სეზონში „ოქროს ხელთათმანები" მოიპოვა, თანაც ასეთ ახალგაზრდულ ასაკში, ბევრზე მეტყველებს. მას დიდი პოტენციალი აქვს და ბევრად ცნობილი კოლეგების დაჯაბვნით მთელ მსოფლიოს გააცნო თავი. იგი უდავოდ „ლივერპულის" ერთ-ერთი ლიდერია. ჩემპიონატი კარგად ჩაატარა ჯერარდმაც, რომელმაც პიკს სწორედ აპრილში უწია. ორივე მათგანმა ეს ჯილდო დაიმსახურა".

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# მე თვითონ!
## ვიეირა ერიკსონს ეპატიჟება

**პორტუგალიური** „ბენფიკა" ახალი მწვრთნელის ძიებაშია. მოგეხსენებათ, ახლახანს კლუბი დატოვა ჰოლანდიელმა რონალდ კუმანმა და პსვ-სთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლისაბონელთა ახალი თავკაცის ვინაობა მას მერე გახდება ცნობილი, რაც „არწივები" მოზამბიკიდან დაბრუნდებიან, სადაც ერთკვირიანი შეკრება ექნებათ და სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

„ახალ მწვრთნელს მე ავირჩევ. სხვათა რჩევა არ მჭირდება, რადგან კარგად ვიცი, რა და ვინ უნდა „ბენფიკას" — აღნიშნა კლუბის პრეზიდენტმა ლუიშ ფილიპე ვიეირამ.

ადგილობრივი პრესა ამჟამად სამ კანდიდატზე საუბრობს. პირველი სვენ გორან ერიკსონია, რომელიც მუნდიალის მერე ინგლისის ნაკრებს დატოვებს, მეორე — „მანჩესტერ იუნაიტედში" სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე კარლუშ კეიროში, ხოლო მესამე — ათენის აეკ-ის ყოფილი თავკაცი ფერნანდო სანტოსი.

აქამდე, „ბრაგადან" წასულ ჟესუალდო ფერეირაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ მან „ბოავიშტასთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო „ბრაგა" გუნდის ყოფილ ფეხბურთელ კარლოს კარვალიუს ჩააბარეს.

**ჭოჭი ჭანდელაძე**



# ემპოლიმ ტომატს მოუგო

**იტალიურ** „ემპოლის" „მესინასთან" მატჩში 3:0 მოგება ჩაეთვალა. ტოსკანელები ისედაც იგებდნენ სტუმრად 2:1-ს, მაგრამ თამაშის 89-ე წუთზე მსაჯმა შეხვედრა შეწყვიტა, რადგან მესინელთა ფანები უწესრიგოდ იქცეოდნენ.

„მესინა" სერია A-დან უკვე გავარდნილია და ამაზე გაბრაზებული ქომაგები მთელი შეხვედრის მანძილზე მინდორზე სხვადასხვა საგნებს ისროდნენ, ხოლო ბოლო წუთებზე, როდესაც „სან ფილიპოზე" წყლისა და ტომატის ბოთლების წვიმა დაიწყო, მსაჯმა მატჩი შეწყვიტა.

ბუნებრივია, იმ შეხვედრაში გატანილი გოლები გაუქმდა. გარდა ამისა, იტალიის ფეხბურთის ლიგამ „მესინა" სტადიონის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და იგი მომავალ სეზონში სერია B-ში თავის პირველ საშინაო თამაშს ნეიტრალურ მინდორზე გამართავს.

**ჭოჭი ჭანდელაძე**

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XXIX ტური

ამიკა — ლეჩნა 6:0; გურნიკი — ლეგია 0:1; კორონა — ბელხატოვი 0:0; ლეხი — ოდრა 1:2; პოლონია — პოგონი 1:1; ვისლა — არკა 3:1; პლოცკი — კრაკოვია 1:0; ზაგლებე — გროცლინი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 29 | 20 | 6 | 3 | 46:15 | 66 |
| ვისლა | 29 | 18 | 7 | 4 | 48:19 | 61 |
| ზაგლებე | 29 | 14 | 6 | 9 | 45:32 | 48 |
| ამიკა | 29 | 13 | 7 | 9 | 48:27 | 46 |
| კორონა | 29 | 11 | 11 | 7 | 43:33 | 44 |
| ლეხი | 29 | 11 | 8 | 10 | 45:45 | 41 |
| ბელხატოვი | 29 | 9 | 10 | 10 | 29:30 | 37 |
| გროცლინი | 29 | 10 | 7 | 12 | 37:42 | 37 |
| ოდრა | 29 | 9 | 10 | 10 | 22:27 | 37 |
| პოგონი | 29 | 9 | 9 | 11 | 29:34 | 36 |
| კრაკოვია | 29 | 10 | 6 | 13 | 32:44 | 36 |
| პლოცკი | 29 | 10 | 4 | 15 | 30:44 | 34 |
| ლეჩნა | 29 | 6 | 12 | 11 | 22:31 | 30 |
| გურნიკი | 29 | 8 | 5 | 16 | 29:45 | 29 |
| არკა | 29 | 4 | 15 | 10 | 21:32 | 27 |
| პოლონია | 29 | 5 | 7 | 17 | 19:45 | 22 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XXIX ტური

იაბლონეცი — ბლშანი 2:0; ბოლესლავი — იჰლავა 4:0; მოსტი — ბრნო 3:3; სიგმა — ტეპლიცე 0:0; პლზენი — სლოვაცკო 0:2; პრჟიბრამი — სპარტა 2:2; სლავია — ბანიკი 4:0; ზლინი — ლიბერეცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 29 | 16 | 11 | 2 | 41:19 | 59 |
| სლავია | 29 | 14 | 9 | 6 | 53:34 | 51 |
| ბოლესლავი | 29 | 15 | 6 | 8 | 47:34 | 51 |
| ტეპლიცე | 29 | 11 | 16 | 2 | 34:21 | 49 |
| სპარტა | 29 | 13 | 6 | 10 | 42:36 | 45 |
| ბანიკი | 29 | 9 | 10 | 10 | 31:31 | 37 |
| იაბლონეცი | 29 | 10 | 7 | 12 | 35:38 | 37 |
| სიგმა | 29 | 10 | 7 | 12 | 33:40 | 37 |
| მოსტი | 29 | 10 | 6 | 13 | 31:37 | 36 |
| სლოვაცკო | 29 | 8 | 11 | 10 | 28:28 | 35 |
| ზლინი | 29 | 8 | 11 | 10 | 25:30 | 35 |
| პრჟიბრამი | 29 | 8 | 10 | 11 | 36:35 | 34 |
| ბრნო | 29 | 6 | 14 | 9 | 34:36 | 32 |
| იჰლავა | 29 | 6 | 11 | 12 | 20:33 | 29 |
| პლზენი | 29 | 6 | 10 | 13 | 27:42 | 28 |
| ბლშანი | 29 | 4 | 11 | 14 | 19:42 | 23 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა
### გადადებული მატჩი

იანგ ბოისი 4:2 ბაზელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 35 | 23 | 9 | 3 | 86:40 | 78 |
| ციურიხი | 35 | 22 | 9 | 4 | 84:35 | 75 |
| იანგ ბოისი | 35 | 16 | 11 | 8 | 57:45 | 59 |
| გრასჰოპერი | 35 | 14 | 12 | 9 | 44:33 | 54 |
| თუნი | 35 | 13 | 7 | 15 | 47:53 | 46 |
| სენტ გალენი | 35 | 10 | 7 | 18 | 48:56 | 37 |
| აარაუ | 35 | 8 | 10 | 17 | 29:63 | 34 |
| შაფჰაუზენი | 35 | 7 | 12 | 16 | 32:52 | 33 |
| ქსამაქსი | 35 | 9 | 6 | 20 | 41:67 | 33 |
| ივერდონი | 35 | 9 | 5 | 21 | 37:61 | 32 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. VIII ტური

ჰამარბი — გაის 5:2; გიოტებორგი — იორგრიტე 2:1; იოსტერსი — კალმარი 0:1; იურგორდენი — მალმიო 2:3; ელფსბორგი — გეფლე 0:1; ჰეკენი — აიკ 0:1; ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:10 | 17 |
| აიკ | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ელფსბორგი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | 15 |
| მალმიო | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| გიოტებორგი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| იურგორდენი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 12 |
| გეფლე | 8 | 3 | 3 | 2 | 8:10 | 12 |
| კალმარი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 11 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| გაის | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| ჰალმსტადი | 8 | 1 | 5 | 2 | 2:3 | 8 |
| ჰეკენი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:10 | 6 |
| იოსტერსი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:14 | 5 |
| იორგრიტე | 8 | 0 | 2 | 6 | 4:12 | 2 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XXX ტური

ვორსკლა — სტალი 1:0; მეტალურგი (დ) — არსენალი 2:2; ჩერნომორეცი — მეტალურგი (ზ) 0:0; დინამო — შახტარი 2:2; ვოლინი — ტავრია 0:0; დნიპრო — კრივბასი 1:0; მეტალისტი — ხარკოვი 1:0; ილიჩევეცი — ზაკარპატია 2:0

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 23 | 6 | 1 | 68:20 | 75 |
| შახტარი | 30 | 23 | 6 | 1 | 64:14 | 75 |
| ჩერნომორეცი | 30 | 13 | 6 | 11 | 36:31 | 45 |
| დნიპრო | 30 | 11 | 10 | 9 | 33:23 | 43 |
| ილიჩევეცი | 30 | 12 | 7 | 11 | 30:34 | 43 |
| მეტალისტი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:42 | 43 |
| მეტალურგი (დ) | 30 | 10 | 9 | 11 | 35:35 | 39 |
| ტავრია | 30 | 11 | 6 | 13 | 29:31 | 39 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 11 | 6 | 13 | 32:40 | 39 |
| ვორსკლა | 30 | 9 | 10 | 11 | 28:34 | 37 |
| სტალი | 30 | 9 | 9 | 12 | 26:39 | 36 |
| არსენალი | 30 | 9 | 8 | 13 | 31:39 | 35 |
| ხარკოვი | 30 | 9 | 6 | 15 | 29:36 | 33 |
| კრივბასი | 30 | 9 | 6 | 15 | 27:35 | 33 |
| ვოლინი | 30 | 9 | 6 | 15 | 31:45 | 33 |
| ზაკარპატია | 30 | 3 | 6 | 21 | 17:53 | 15 |

ოქროს მატჩი: 14 მაისი
დინამო — შახტარი

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. IV ტური

ჰონკა — იარო 3:2; ლაჰტი — მიუპა 0:2; ჰიკ — კუოპიო 1:0; ტამპერე — კტპ 1:0; ტურკუ — ინტერი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| ჰონკა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 12 |
| კტპ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ჰაკა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მარიეჰამნი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ლაჰტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ტურკუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| მიუპა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ჰიკ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| კუოპიო | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| იარო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვაასა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი
### ნახევარფინალი
### პირველი მატჩი

ტოლუკა 1:2 სან ლუისი

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა
### გადადებული მატჩი

დალასი 1:0 ლოს ანჯელესი

## ამხანაგური მატჩები

ლესოტო 0:0 სამხრეთ აფრიკა
ტრინიდადი 1:1 პერუ

## Copa Toyota Libertadores '2006

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 2:1 ინტერნასიონალი (ბრაზილია)
ესტუდიანტესი (არგენტინა) 1:0 სან პაულუ (ბრაზილია)

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის, დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 478 | ლინკოლნი-გრიმსბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 21:00 | 479 | უიკომბი-ჩელტენჰემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 3 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 17:30 | 5 | დუისბურგი-მაინცი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 17:30 | 6 | აინტრახტი-გლადბახი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 7 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:30 | 8 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 9 | კიოლნი-არმინია | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 17:30 | 10 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 17:30 | 11 | შალკე-შტუტგარტი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:30 | 12 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 13 | ალენი-ოფენბახი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 17:00 | 14 | აუე-ზიგენი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 17:00 | 15 | ბურგჰაუზენი-ალემანია | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 17:00 | 16 | კოტბუსი-მიუნხენი 1860 | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 17:00 | 17 | ფრაიბურგი-ფიურტი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 17:00 | 18 | ჰანზა-დინამო | 3.70 | 3.40 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 17:00 | 19 | კარლსრუე-პადერბორნი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 17:00 | 20 | ზაარბრიუკენი-ბრაუნშვაიგი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 22 | დიუსელდორფი-ქემნიცი | 1.25 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.88 |
| 21:30 | 23 | ზტ.პაული-კიოლნი(მ) | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 24 | ვერდერი(მ)-ვატენშაიდი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 25 | ვუპერტალი-ჰერტა(მ) | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 16:00 | 26 | ერფურტი-ოსნაბრიუკი | 1.70 | 3.30 | 3.90 | 1.12 | 1.18 | 1.78 |
| 16:00 | 27 | ემდენი-კილი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 16:00 | 28 | ლიუბეკი-კარლ ცაისი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 29 | ობერჰაუზენი-მიუნსტერი | 2.60 | 3.30 | 2.20 | 1.45 | 1.19 | 1.32 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 51 | რაპიდი-რიდი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 20:30 | 52 | ტიროლი-გრაცერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 55 | ალტახი-აუსტრია(მ) | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 21:00 | 56 | კაპფენბერგი-ლეობენი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 57 | კერნტენი-გრატკორნი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 58 | კუფშტაინი-აუსტრია(ლ) | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |
| 21:00 | 59 | შვანენშტადტი-ლინცერი | 4.70 | 3.60 | 1.60 | 2.03 | 1.19 | 1.10 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 77 | კალიარი-ინტერი | 3.00 | 2.60 | 2.55 | 1.39 | 1.37 | 1.28 |
| 17:00 | 80 | ემპოლი-ასკოლი | 1.75 | 2.60 | 6.50 | 1.04 | 1.37 | 1.85 |
| 17:00 | 81 | ლაციო-პარმა | 1.85 | 2.60 | 5.50 | 1.08 | 1.38 | 1.76 |
| 17:00 | 82 | მილანი-რომა | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 17:00 | 83 | პალერმო-მესინა | 1.35 | 3.50 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.55 |
| 17:00 | 87 | სამპდორია-ლეჩე | 1.55 | 2.80 | 8.50 | 1.00 | 1.31 | 2.10 |
| 17:00 | 88 | სიენა-ლივორნო | 2.35 | 2.20 | 4.20 | 1.13 | 1.50 | 1.44 |
| 17:00 | 89 | ტრევიზო-უდინეზე | 4.00 | 2.30 | 2.25 | 1.46 | 1.44 | 1.13 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 90 | ატალანტა-არეცო | 2.20 | 2.30 | 4.40 | 1.12 | 1.46 | 1.51 |
| 18:00 | 91 | ბარი-მოდენა | 3.50 | 2.40 | 2.40 | 1.42 | 1.42 | 1.20 |
| 18:00 | 92 | ბოლონია-აველინო | 1.85 | 2.90 | 4.00 | 1.12 | 1.26 | 1.68 |
| 18:00 | 96 | მანტოვა-ვერონა | 1.75 | 2.70 | 5.50 | 1.06 | 1.32 | 1.81 |
| 18:00 | 97 | პიაჩენცა-ტრიესტინა | 2.30 | 2.10 | 4.50 | 1.09 | 1.52 | 1.43 |
| 18:00 | 98 | ტერნანა-ბრეშა | 2.50 | 2.90 | 2.65 | 1.34 | 1.28 | 1.38 |
| 18:00 | 100 | ვიჩენცა-ალბინოლეფე | 2.15 | 2.40 | 4.20 | 1.13 | 1.42 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 101 | ალავესი-დეპორტივო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:00 | 106 | კადისი-მალაგა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 22:00 | 107 | სელტა-ხეტაფე | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 23:45 | 108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| 22:00 | 109 | მალიორკა-სარაგოსა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 116 | ფეროლი-ჰერკულესი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 118 | ლევანტე-ტენერიფე | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 20:30 | 120 | ლორკა-სპორტინგი | 1.75 | 3.00 | 4.30 | 1.10 | 1.24 | 1.76 |
| 20:30 | 123 | უელვა-რეალი(ბ) | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 113 | ალბასეტე-კასტელონი | 2.10 | 2.80 | 3.30 | 1.20 | 1.28 | 1.51 |
| 21:00 | 114 | ეიბარი-ვალიადოლიდი | 2.60 | 2.80 | 2.55 | 1.34 | 1.28 | 1.33 |
| 19:30 | 115 | ელჩე-ხერესი | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |
| 14:00 | 117 | ტარაგონა-ალმერია | 1.95 | 2.90 | 3.65 | 1.16 | 1.27 | 1.61 |
| 20:00 | 119 | ლეიდა-მალაგა ბ | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 20:30 | 121 | მურსია-ნუმანსია | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 125 | ოსერი-სტრასბური | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 22:00 | 127 | ბორდო-მარსელი | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| 22:00 | 128 | ლანსი-ნანტი | 1.48 | 3.70 | 6.00 | 1.05 | 1.18 | 2.28 |
| 22:00 | 130 | ლიონი-ლე მანი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 22:00 | 131 | მეცი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.45 | 1.44 | 1.34 | 1.30 |
| 22:00 | 133 | მონაკო-ნანსი | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 22:00 | 134 | რენი-ლილი | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 135 | ტულუზი-სოშო | 2.05 | 3.00 | 3.50 | 1.21 | 1.29 | 1.61 |
| 22:00 | 136 | ტრუა-ნიცა | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 137 | ბასტია-შატორუ | 1.95 | 2.80 | 3.90 | 1.14 | 1.29 | 1.62 |
| 22:30 | 138 | კანი-კრეტეი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 22:30 | 139 | დიჟონი-ვალენსიენი | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 22:30 | 140 | გრენობლი-ამიენი | 1.95 | 2.80 | 3.90 | 1.14 | 1.29 | 1.62 |
| 22:30 | 141 | გენიონი-ბრესტი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:30 | 142 | ისტრი-ლავალი | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:30 | 143 | ლე ავრი-მონპელიე | 1.95 | 2.90 | 3.90 | 1.16 | 1.29 | 1.66 |
| 22:30 | 144 | ლორიანი-რეიმსი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 22:30 | 145 | სედანი-გინგამი | 1.70 | 3.10 | 4.90 | 1.09 | 1.26 | 1.89 |
| 22:30 | 146 | სეტე-კლერმონი | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 159 | სივასპორი-ანკარაგუჯუ | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:00 | 161 | მანისა-კონია | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 151 | დენიზლი-ფენერბაჩე | 7.00 | 4.50 | 1.35 | 2.73 | 1.13 | 1.03 |
| 20:00 | 153 | ერჯიესი-ანკარა | 4.50 | 3.10 | 1.75 | 1.83 | 1.25 | 1.11 |
| 20:00 | 154 | გალათასარაი-კაისერი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 20:00 | 156 | გაზიანთეპი-მალათია | 3.20 | 2.20 | 2.80 | 1.30 | 1.49 | 1.23 |
| 20:00 | 157 | გენჩლერბირლიგი-რიზე | 1.25 | 5.30 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.40 |
| 20:00 | 158 | სამსუნი-დიარბაქირი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 20:00 | 160 | ტრაბზონი-ბეშიქთაში | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 162 | შინიკი-ნალჩიკი | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 14:00 | 163 | ტომსკი-ენერგია | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 16:00 | 169 | ამკარი-როსტოვი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 164 | ტორპედო-ლოკომოტივი | 3.75 | 3.20 | 1.90 | 1.72 | 1.26 | 1.19 |
| 20:00 | 165 | ზენიტი-რუბინი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 166 | მოსკოვი-ცსკა | 4.20 | 3.30 | 1.70 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 18:00 | 167 | სატურნი-კრილია | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 168 | დინამო-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 202 | დუბნიცა-პეტრჟალკა | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 19:00 | 203 | ნიტრა-ტრენჩინი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21:30 | 205 | ტრნავა-ინტერი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 21:30 | 206 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 219 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 17:00 | 220 | ორჰუსი-ოდენსე | 4.50 | 3.60 | 1.65 | 2.00 | 1.20 | 1.13 |
| 17:00 | 222 | ბრიონდბიუ-სიონდერიისკე | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 17:00 | 224 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 17:00 | 226 | ნორდსიელანდი-ჰორსენსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 17:00 | 227 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 231 | ბრაბრანდი-ჰელერუპი | 2.35 | 3.40 | 2.65 | 1.38 | 1.24 | 1.48 |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 233 | აკადემისკი-ვეილე | 2.80 | 3.70 | 2.15 | 1.59 | 1.21 | 1.35 |
| 15:00 | 234 | ფრემი-ნაკიობინგი | 1.85 | 3.80 | 3.40 | 1.24 | 1.19 | 1.79 |
| 15:00 | 235 | ფრემადი-ბრიონსჰოი | 1.25 | 5.50 | 7.50 | 1.01 | 1.07 | 3.17 |
| 15:00 | 236 | იოლსტიკე-ფრედერისია | 2.20 | 3.70 | 2.70 | 1.37 | 1.21 | 1.56 |
| 17:00 | 237 | კოგე-ლიუნგბიუ | 2.35 | 3.50 | 2.65 | 1.40 | 1.24 | 1.50 |
| 17:00 | 238 | რანდერსი-კოლდინგი | 1.75 | 3.70 | 3.80 | 1.18 | 1.19 | 1.87 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 240 | ვალერენგა-ლილესტრიომი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 241 | ჰამარი-სტარტი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 20:00 | 242 | მოლდე-ფრედრიკსტადი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 243 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2.30 | 3.30 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| 18:00 | 244 | სანდეფიორდი-ბრანი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 20:00 | 245 | სტაბეკი-ვიკინგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 246 | ტრომსიო-როზენბორგი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 247 | მანგლერუდი-ბოდიო გლიმტი | 4.50 | 3.80 | 1.60 | 2.06 | 1.18 | 1.12 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 250 | ფილო-კონგსვინგერი | 2.25 | 3.50 | 2.65 | 1.36 | 1.21 | 1.50 |
| 20:00 | 251 | ჰოდდი-ტრომსდალენი | 1.90 | 3.70 | 3.20 | 1.25 | 1.19 | 1.71 |
| 20:00 | 252 | ჰონეფოსი-პორს გრენლანდი | 1.80 | 3.70 | 3.50 | 1.21 | 1.18 | 1.79 |
| 20:00 | 253 | ლონ პამი-ალესუნდი | 4.00 | 3.60 | 1.70 | 1.89 | 1.19 | 1.15 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 287 | ბოჰემიანი-ბრეი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 288 | სტ.პატრიკი-დერი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 22:45 | 289 | უოტერფორდი-დუბლინი სიტი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 291 | სლიგო-დროგედა | 3.20 | 3.10 | 1.95 | 1.57 | 1.21 | 1.19 |
| | | **15 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 292 | კორკი-შელბორნი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 328 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **13 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 332 | ვარეგემი-მუსკრონი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **14 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 333 | პორტუ-სეტუბალი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **ჰოკეი.მჩ 2006 (ლატვია). 12 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 485 | სლოვაკია-დანია | 2.20 | 4.50 | 2.05 | 1.47 | 1.06 | 1.40 |
| 17:00 | 486 | ჩეხეთი-ნორვეგია | 1.04 | 5.30 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.33 |
| 21:00 | 487 | ფინეთი-აშშ | 1.60 | 4.30 | 3.20 | 1.16 | 1.06 | 1.83 |

## ფორმულა 1. 12 მაისი. ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 200.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტანი | 200.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 200.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | სპიდი | 130.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ლიუცი | 100.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 80.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტხარდი | 65.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 40.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 200.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 16.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 11.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 2.20 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 2.40 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 6.50 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 11.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ხაიდფელდი | 35.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 15.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 32.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | როსბერგი | 35.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 31.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 30.00 |
| 13:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 45.00 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.85 | 2.00 | 5.00 | 1.00 | 1.35 | 1.42 |
| 10005 | დუისბურგი-მაინცი | 2.60 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10007 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10009 | კიოლნი-არმინია | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3.10 | 2.00 | 2.80 | 1.21 | 1.47 | 1.16 |
| 10011 | შალკე-შტუტგარტი | 2.20 | 2.00 | 4.30 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10101 | ალავესი-დეპორტივო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10105 | ატლეტიკო-ბეტისი | 2.35 | 2.00 | 4.10 | 1.08 | 1.49 | 1.34 |
| 10106 | კადისი-მალაგა | 2.20 | 2.00 | 4.30 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10107 | სელტა-ხეტაფე | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2.00 | 2.00 | 5.60 | 1.00 | 1.47 | 1.47 |
| 10109 | მალიორკა-სარაგოსა | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.90 | 2.10 | 6.20 | 1.00 | 1.45 | 1.56 |
| 10124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 2.70 | 1.90 | 3.40 | 1.11 | 1.50 | 1.21 |
| 10125 | ოსერი-სტრასბური | 1.80 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.51 |
| 10127 | ბორდო-მარსელი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10128 | ლანსი-ნანტი | 1.80 | 2.00 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.46 |
| 10130 | ლიონი-ლე მანი | 1.85 | 2.00 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.46 |
| 10131 | მეცი-პსჟ | 3.40 | 1.90 | 2.80 | 1.21 | 1.53 | 1.13 |
| 10133 | მონაკო-ნანსი | 2.10 | 2.00 | 5.20 | 1.02 | 1.49 | 1.44 |
| 10134 | რენი-ლილი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10135 | ტულუზი-სოშო | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10136 | ტრუა-ნიცა | 2.65 | 1.90 | 3.70 | 1.10 | 1.54 | 1.25 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | დუისბურგი-მაინცი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11006 | აინტრახტი-გლადბახი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11007 | ჰამბურგი-ვერდერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11009 | კიოლნი-არმინია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11011 | შალკე-შტუტგარტი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11012 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11101 | ალავესი-დეპორტივო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11105 | ატლეტიკო-ბეტისი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11106 | კადისი-მალაგა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.50 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11109 | მალიორკა-სარაგოსა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11125 | ოსერი-სტრასბური | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11127 | ბორდო-მარსელი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11128 | ლანსი-ნანტი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11130 | ლიონი-ლე მანი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11131 | მეცი-პსჟ | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11133 | მონაკო-ნანსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11134 | რენი-ლილი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11135 | ტულუზი-სოშო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11136 | ტრუა-ნიცა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ბაიერნი-დორტმუნდი | 2.30 | 1.50 |
| 12005 | დუისბურგი-მაინცი | 2.20 | 1.55 |
| 12006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 1.60 |
| 12007 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.20 | 1.55 |
| 12008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.20 | 1.50 |
| 12009 | კიოლნი-არმინია | 2.10 | 1.60 |
| 12010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2.20 | 1.50 |
| 12011 | შალკე-შტუტგარტი | 2.10 | 1.60 |
| 12012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 2.10 | 1.60 |
| 12101 | ალავესი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | კადისი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12107 | სელტა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12109 | მალიორკა-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.80 | 1.80 |
| 12124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 1.55 | 2.20 |
| 12125 | ოსერი-სტრასბური | 1.80 | 1.80 |
| 12127 | ბორდო-მარსელი | 1.55 | 2.20 |
| 12128 | ლანსი-ნანტი | 1.60 | 2.10 |
| 12130 | ლიონი-ლე მანი | 1.80 | 1.80 |
| 12131 | მეცი-პსჟ | 1.60 | 2.10 |
| 12133 | მონაკო-ნანსი | 1.65 | 2.00 |
| 12134 | რენი-ლილი | 1.60 | 2.10 |
| 12135 | ტულუზი-სოშო | 1.60 | 2.10 |
| 12136 | ტრუა-ნიცა | 1.65 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13003 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 13005 | დუისბურგი-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | კიოლნი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13011 | შალკე-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | ალავესი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | კადისი-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13107 | სელტა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13109 | მალიორკა-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.90 | 1.65 |
| 13124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 1.70 | 1.90 |
| 13125 | ოსერი-სტრასბური | 1.90 | 1.65 |
| 13127 | ბორდო-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13128 | ლანსი-ნანტი | 1.90 | 1.65 |
| 13130 | ლიონი-ლე მანი | 1.90 | 1.65 |
| 13131 | მეცი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13133 | მონაკო-ნანსი | 1.70 | 1.90 |
| 13134 | რენი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13135 | ტულუზი-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 13136 | ტრუა-ნიცა | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | დუისბურგი-მაინცი | 1.70 | 2.00 |
| 14006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.20 |
| 14007 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 14008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.70 |
| 14009 | კიოლნი-არმინია | 1.60 | 2.20 |
| 14010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.90 | 1.80 |
| 14011 | შალკე-შტუტგარტი | 1.55 | 2.30 |
| 14012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 1.80 | 2.00 |
| 14101 | ალავესი-დეპორტივო | 1.80 | 2.00 |
| 14105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.60 | 2.20 |
| 14106 | კადისი-მალაგა | 1.55 | 2.30 |
| 14107 | სელტა-ხეტაფე | 1.60 | 2.20 |
| 14108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.30 | 2.50 |
| 14109 | მალიორკა-სარაგოსა | 1.70 | 2.10 |
| 14112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.25 | 2.50 |
| 14124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 1.75 | 2.00 |
| 14125 | ოსერი-სტრასბური | 1.12 | 2.60 |
| 14127 | ბორდო-მარსელი | 1.80 | 1.90 |
| 14128 | ლანსი-ნანტი | 1.20 | 2.60 |
| 14130 | ლიონი-ლე მანი | 1.20 | 2.60 |
| 14131 | მეცი-პსჟ | 1.90 | 1.80 |
| 14133 | მონაკო-ნანსი | 1.40 | 2.40 |
| 14134 | რენი-ლილი | 1.80 | 2.00 |
| 14135 | ტულუზი-სოშო | 1.70 | 2.10 |
| 14136 | ტრუა-ნიცა | 1.80 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბაიერნი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | დუისბურგი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჰამბურგი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | კიოლნი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | შალკე-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ალავესი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ატლეტიკო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | კადისი-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | სელტა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | მალიორკა-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | ვილიარეალი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | ოსერი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ბორდო-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | ლანსი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ლიონი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | მეცი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | მონაკო-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | რენი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ტულუზი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ტრუა-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | დუისბურგი-მაინცი | 1.60 | 2.10 |
| 16006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.50 |
| 16007 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.65 |
| 16009 | კიოლნი-არმინია | 1.35 | 2.80 |
| 16010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.85 | 1.65 |
| 16012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 1.60 | 2.20 |
| 16101 | ალავესი-დეპორტივო | 1.50 | 2.10 |
| 16105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.35 | 2.60 |
| 16106 | კადისი-მალაგა | 1.30 | 2.65 |
| 16107 | სელტა-ხეტაფე | 1.35 | 2.55 |
| 16108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.20 | 3.00 |
| 16109 | მალიორკა-სარაგოსა | 1.45 | 2.30 |
| 16112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.17 | 3.00 |
| 16124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.10 |
| 16127 | ბორდო-მარსელი | 1.70 | 1.85 |
| 16131 | მეცი-პსჟ | 2.00 | 1.65 |
| 16134 | რენი-ლილი | 1.60 | 2.20 |
| 16135 | ტულუზი-სოშო | 1.50 | 2.40 |
| 16136 | ტრუა-ნიცა | 1.70 | 2.00 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | დუისბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | აინტრახტი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | კიოლნი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17011 | შალკე-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ვოლფსბურგი-კაისერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ალავესი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | კადისი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17107 | სელტა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | მალიორკა-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ვილიარეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | აიაჩო-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17125 | ოსერი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ბორდო-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17128 | ლანსი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ლიონი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | მეცი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17133 | მონაკო-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | რენი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ტულუზი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17136 | ტრუა-ნიცა | 1.85 | 1.95 |



# იალბუზმა გამარჯვების დღე ტრაგედიად აქცია

**ფაშისტურ** გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად მთამსვლელები 9 მაისობით კავკასიონისა და საერთოდ ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (5642მ) ხშირად ადიან, მათ შორის საერთაშორისო ალპინიადების მონაწილენიც. ამსვლელთა რაოდენობა ზოგჯერ ასეულსაც აჭარბებს, მით უმეტეს, რომ ეს მწვერვალი ტექნიკური თვალსაზრისით ძნელად დასალაშქრი სულაც არაა და ამ მხრივ მას მე-2 ბ კატეგორია აქვს მინიჭებული.

ოღონდაც, უამინდობაში იალბუზი და მასზე იოლი თუ დაბალი მწვერვალებიც ხშირად მიუვალნი ხდებიან, რის გამოც მათზე ასვლები ტრაგიკულად მთავრდება.

ახლაც, 9 მაისს, იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე თითქმის ერთდროულად ავიდა რუსეთის რვა და უკრაინის ოთხი მთამსვლელი, იქიდან კი ცოცხალი მხოლოდ ერთი დაბრუნდა. მაშველებმა შვიდი მთამსვლელის გვამი აღმოაჩინეს, ოთხის ასავალ-დასავალს კი ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

მაშველებმა ძებნა მას მერე დაიწყეს, როცა ისინი კავშირზე აღარ გამოვიდნენ. მერე მაშველები გადაეყარნენ ერთ მოსკოველ მთამსვლელს, რომელმაც მათ აცნობა, რომ მწვერვალზე ყველანი ავედით, რუსებიცა და უკრაინელებიც, დაშვებისას კი ამინდი გაფუჭდა და იძულებულნი გავხდით, თოვლი გამოგვეთხარა და ღამეც იქ გაგვეთიაო.

იმ ღამეს ყინვა 50 გრადუსამდე დაეცა, რამაც შვიდი მთამსვლელის სიცოცხლე იმსხვერპლა. იმ მოსკოველის თქმით, დანარჩენი დაკარგულები ცოცხლები არიან, მე კი მათ ჩამოვრჩი და გადავრჩიო.

მართლაც, მაშველებმა იალბუსის ფერდობზე იმ შვიდი გაყინულის გვამს მიაგნეს, თუმც დანარჩენებისა ვეღარაფერი გაიგეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

*ავტორის ფოტო*

ბილიარდი

# ჭოლოშვილის მესამე პული



**ახლახან** საქართველოს ბილიარდის ფედერაციის ეგიდით სპორტულ კლუბ „იმპერიალში“ საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა სახეობა „ცხრიანში“. მასში საუკეთესო რეიტინგის მქონე თექვსმეტ-თექვსმეტმა ქალმა და კაცმა მობილიარდემ მიიღო მონაწილეობა. ტურნირი ნახევრად ოლიმპიური სისტემით გაიმართა, ერთხელ წაგებულს კიდევ რჩებოდა ფინალში გასვლის შანსი.

ქალებში ჩემპიონი ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ნათია დოლიძე გახდა, კაცებში კი გურამ ჭოლოშვილმა ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

ბილიარდის ფედერაცია მორიგ ტურნირს სახეობა „დინამიურ პირამიდაში“ 22-26 მაისს გამართავს და მისი საპრიზო ფონდი ორი ათასი ლარი იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## საქართველოს ჩემპიონატი
## პლეი ოფი. ფინალი

# ვინ ჩააბარებს ბოთლებს?

## აზოტმა ვერის ბაღში რუსთავი მოიწყო, მაგრამ მაინც ვერ მოიგო

11 მაისი. ვერის ბაღი

ავიამშენი 2:0 აზოტი

**ავიამშენი 74:57 აზოტი**

*17:19 20:12 23:12 14:14*

**ავიამშენი:** ტულუში (14 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი), ბ. ბერიშვილი, ხოშტარია (11), ნინიაშვილი (9), როდუმტა (10); დ. ბერიშვილი (13), მინაშვილი (10), მარკოიშვილი (7), ჩხატარაშვილი, ნიკოლაძე

**აზოტი:** ცლენტი (2), გოგობერიშვილი (8), ჭოჭუა (5), ტუჯანი (4), ბაბიაშვილი (13); არწივიძე (8), იმნაძე (10), ცეკვავა (5), ბოისა (2), ჯაფარიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ირაკლი პერტაია**



[illegible] ფოტო

კამერუნელთა დუელში „ავიამშენის“ პლასიდე როდუმტამ „აზოტის“ ქოლივეტ ტუჯანის აჯობა

**ვისაც** ქართული კალათბურთისთვის კარგი უნდა, რუსთავში „ავიამშენის“ გამარჯვება არ უნდა ინატროს. არადა, ლევან მოსეშვილის გუნდი ჩემპიონობის ზღვარზეა, გუშინ ფინალური სერიის მეორე მატჩშიც აჯობა „აზოტს“ და საბოლოო გამარჯვებას ერთ მოგებამდე მიუახლოვდა.

მაგრამ კარგი ბიჭი ხარ და გაბედე რუსთავში გამარჯვება... „აზოტის“ თავგადაკლულმა ქომაგებმა მარცხი ეგებ აიტანონ კიდეც, მაგრამ მშობლიურ „ქიმიკოსთა“ დარბაზში სხვა გუნდის გაჩემპიონებას, სავარაუდოდ, გულგრილად ვერ შეხვდებიან და შესაძლოა, იმაზე უარესი მოხდეს, რაც გუშინ ვერის ბაღში ვიხილეთ.

ვერის ბაღი ხომ თბილისიაო, იკითხავს მავანი, მაგრამ საქმე ისაა, რომ გუშინ იქ წმინდა რუსთავული ატმოსფერო სუფევდა, რაკი დარბაზი თითქმის მთლიანად ქვემოქართლელებით იყო გაძეძგილი. ჰოდა, როცა „აზოტს“ საქმე აეწეწა, მოედანზე პლასტმასის ბოთლები ხომ ბითუმად გადმოეშვა და ამას მინისაც მოჰყვა — მადლობა ღმერთს, არავის მოხვედრია.

მოედანზე ერთი პატარა ჯოხიც რომ გადმოაგდონ „აზოტის“ ქომაგებმა, რუსთავში თამაშებს ავკრძალავთო — კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანის ამ სიტყვებს იხსენებდა „ავიამშენის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი და ამ საქმესთან დაკავშირებით ფედერაციაში მისვლასაც ორშაბათს გეგმავდა.

– როცა მოედანზე დამსხვრეული ბოთლი იხილა, ავიატორთა თავკაცი ლევან მოსეშვილი თამაშის მიტოვებას აპირებდა და შეგირდებს გასახდელისკენ იწვევდა, მაგრამ... გადააფიქრებინეს. დიდ შესვენებაზე სულაც მოსეშვილის შვილიშვილ ლევან მოსეშვილს გაექაჩნენ რუსთაველი ქომაგები და ვითარების განმუხტვა ვერც ტრიბუნაზე ასულმა „აზოტის“ კალათბურთელებმა შეძლეს. საბოლოოდ ბუნტისთავები საკუთარმა ძმაბიჭებმა დააშოშმინეს.

ერთი სიტყვით, ვერის ბაღში გუშინ დიდი აყალმაყალი იყო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ქომაგობაც ჯანსაღი იყო და ბოთლებსაც დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მაგრამ... მესამე მეოთხედში „ავიამშენმა“ თამაშის საკუთარ თარგზე მოჭრა დაასრულა, „აზოტიც“ დაიბნა და დარბაზიც უმსგავსოების სარბიელად გადაიქცა.

ისე, ამდენს ვყვებით ქომაგებზე და ერთი მოედანზეც შევიხედოთ, სადაც დასაწყისში ისეთი თანაბარი ბრძოლა ხურდა, ვერავინ წარმოიდგენდა, საბოლოოდ ამხელა სხვაობა რომ დაფიქსირდებოდა.

ორივე გუნდმა დაზვერვით დაიწყო და შესაბამისად, თანაბარი ბრძოლაც გაჩაღდა. ბოლო მატჩებში სათადარიგოთა სკამს დაძმობილებული თორნიკე ნინიაშვილი, რომელიც მოსეშვილმა მოულოდნელად ხუთეულში გაამწესა, „ავიამშენს“ პირველ მეოთხედში დიდად გამოადგა.

ნინიაშვილი ხელს უშლიდა რუსთაველთა მთავარ ბომბარდირ ზვიად ბაბიაშვილს და შეტევაშიც საკმარისად ქულუხვი გახლდათ. მან მეორე მეოთხედში მიიღო მეხუთე ჯარიმა, თუმც მის ნაცვლად მოედანზე შემოსული ვახტანგ მინაშვილიც კარგი მეწყვილე გამოდგა ფარზე გამეფებული პლასიდე როდუმტასთვის.

არადა, „აზოტმა“ საამმატჩოდ საბერძნეთიდან მობრუნებული ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე შეიმატა და მოსალოდნელი იყო, რომ რუსთაველები ფარს მიეძალებოდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. „შავი აჩრდილი“ როდუმტა ავიატორთა ზონის საკვანძო რგოლი იყო და სამწამიანში რუსთაველებს არ უშვებდა.

პირველი მეოთხედის ორი ქულით მოგების შემდეგ რუსთაველები უფრო იმედიანად გამოვიდნენ მოედანზე და ძალუმად შეუტიეს, თუმც მოსეშვილმა საჭირო შეცვლები განახორციელა, მოედანზე დავით ბერიშვლი და გიორგი მარკოიშვილი შეუშვა, რითაც მეტოქეს ცელი გამოუსვა.

„მარკოზამ“ მაღლებს ფარქვეშ ხელი შეაშველა, თუმც ბერიშვილის სწრაფმა პასმა და სამქულიანებმა „ავიამშენს“ მეტი ხეირი მოუტანა. ტყუპისცალმა ითავა მეტოქის მოედანზე ბურთის სწრაფად გადატანა, პასებსაც ყაირათიანად არიგებდა და საჭირო ბურთებიც ჩააგდო. შედეგად მოსეშვილის გუნდმა 6-ქულიანი საპირველტაიმო უპირატესობა დაიბევა და მესამე მეოთხედში, როცა სამმაგი დუბლის (14 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი) მიმთვლელი კოტე ტულუშიც ათამაშდა, „აზოტს“ საქმე თითქმის მოუთავა — 60:43.

აი, აქედან დაიწყო ტრიბუნებზე დებოში და თამაში რუსთაველი ქომაგის ღრიანცელში ჩამთავრდა. ბოლო მეოთხედში „აზოტს“ 17 ქულის გაბათილება მართებდა, რაც არარეალური სულაც არ იყო, მაგრამ როცა ბურთს ვერ ჩააგდებ, მოგების პრეტენზია არ უნდა გქონდეს.

„აზოტმაც“ ვერ ჩააგდო, დამარცხდა, სერიაში 0:2 ჩამორჩა და ახლა კარიერის პირველი ტიტულის მოსაგებად მიჯრით 3 მოგება ესაჭიროება.

რუსთაველი ქომაგი დაბოღმილი გაბრუნდა საკუთარ ქალაქში და „ავიამშენს“ იქ ელოდება.

თამაშები 16 და 18 მაისსაა.

## მესამე ადგილისთვის

11 მაისი. ვერის ბაღი

თსუ-ნიკორა 1:1 სტუ

**სტუ-ნიკორა 95:93 თსუ**

*21:22 26:27 22:24 26:20*

**სტუ:** მიქაძე (15), ხეცურიანი (17), შანიძე (12), მურჯიკნელი (12), მათიაშვილი (9); ლოსაბერიძე (15), ახალკაცი (6), კოხრეიძე (5), ქისტაური (4)

**თსუ-ნიკორა:** ი. ბერიშვილი (12), ლეჟავა (27), კეშელავა (12), ბეჟანიშვილი (12), მუშკუდიანი (6); მარხვაშვილი (11), ტყეშელაშვილი (10), დიდია (2), სანიკიძე (1), მაისურაძე, ფანჩულიძე, ვეფხვაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე




AFP

ნიკა ცქიტიშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა თამაშამდე ხორუმი დაუარეს. ნამატჩევს ამის ხალისი ნამდვილად არ ექნებოდათ

# პირველი ქართული პლეიოფური

## ნიკა ცქიტიშვილმა ხუთიდან ერთი გაარტყა

10 მაისი

მეორე რაუნდი

**აღმოსავლეთი**

**მაიამი 1:1 ნიუ ჯერსი**

**მაიამი:** ვეიდი (31), ონილი (21), უილიამსი (14)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (22), ჯეფერსონი (16), კიდი (15), კრსტიჩი (14)

ჩანს, „მაიამის“ ძალიან ეწყინეტკინა რანგ-რეიტინგით დაბლა მდგომ „ნიუ ჯერსისთან“ შინ 12-ქულიანი მარცხი და ფლორიდელებმა ახლა ლამის გადასანსლეს მეტოქე. ყველაფერი პირველ მეოთხედში მოთავდა — ნიუჯერსელებმა პირველ ხუთ წუთში სამჯერ დაკარგეს ბურთი და სამჯერვე თითო სამქულიანი მიიღეს საკუთარ კალათში, ეს საწყისი ხუთწუთეული კი 4:25 განადგურდნენ. „მაიამიმ“ კი ტკბილად შეირგო ლიდერობა და პირველი ტაიმი სულაც 41:19 შემუსრა „ნიუ ჯერსი“. ამ 41 ქულიდან 17 დუეინ ვეიდის ანგარიშზე მოდის. მატჩის შემდგომი პერიოდის აღწერას იოტისხელა აზრიც არ აქვს.

**დასავლეთი**

**ფინიქსი 1:1 კლიპერსი**

**ფინიქსი 97:122 კლიპერსი**

**ფინიქსი:** ნეში (14), ბელი (20), ჯონსი, მარიონი (13), დიაუ (14); ბარბოსა (18), ტომასი (15), გრანტი (2), **ცქიტიშვილი** (3 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), ჰაუსი
**კლიპერსი:** კასელი (23), მობლი (23), როსი (11), ბრენდი (27 ქულა, 11 მოხსნა), კამანი (14 ქულა, 16 მოხსნა); რადმანოვიჩი (10), ლივინგსტონი (8), მაგეტი (2), იუინგი (2), სინგლტონი (2), მაკარტი

„ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ იგივე გაუკეთა „ფინიქს სანზს“, რასაც ეს უკანასკნელი უკეთებს მეტოქეს ხუთიდან ოთხ შემთხვევაში. სწრაფი ტემპი და შეუსვენებელი გადარბენები თითქოს „ფინიქსის“ სტიქიაა, მაგრამ ახლა „კლიპერსი“ ბოგინობდა მოედანზე და მისივე იარაღით კლავდა ფავორიტს — უგდებდა და უგდებდა ნაირ-ნაირ ორქულიანებს, ერთიანად ამოუვსო კალათი. პირველ მატჩში 3 ქულით „დაკმაყოფილებულმა“ „კლიპერსის“ მსროლელმა კუტინო მობლიმ ახლა 23 გაიტანა. ამდენივეს გამოვიდა ლოსანჯელესელთა 36 წლის ლიდერი სემ კასელი, ხოლო პირველ მატჩში 40 ქულის მომხვეჭმა მოზვერა ელტონ ბრენდმა ახლა 27 ქულა გაშანსა. „კლიპერსმა“ 16 ქულით მოიგო პირველი მეოთხედი და დარჩენილ დროშიც ცოტა წაამატა ამ უპირატესობას.

ესეც აღსანიშნავია: „ფინიქსის“ ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი ამ პლეი ოფში უკვე მესამედ შევიდა მოედანზე, ამჯერად მთელი სამი წუთით და იქიდან თითო ქულა-მოხსნა-პასი გამოიტანა. ის ერთი საჯარიმო, მან რომ ჩააგდო, პლეი ოფში პირველ ქართულ ქულად იქცა. სულ ამ სამ თამაშში ცქიტიშვილმა ესროლა ერთი სამქულიანი, ორი ორიანი და ორიც საჯარიმო.

**კოტე ყორშია**

# პოლს თავისი დაუმტკიცეს




**„ნიუ ორლეან ჰორნეთსის“** ახალბედა გამთამაშებელი კრის პოლი საუკეთესო იყო 2005 წლის დრაფტის შემდეგ ნბა-ში მოსულთაგან და სეზონის საუკეთესო ახალბედას გამოსავლენმა გამოკითხვამაც ეს დაადასტურა. 125 გამოკითხული ჟურნალისტიდან 124-მა სწორედ პოლს მისცა ხმა.

ეს ჯეელი ნამდვილად იმსახურებდა ამ აღიარებას. საყოველთაო აზრით, „ნიუ ორლეანს“ ცხრილის ფსკერზე ადგილს ვერავინ დაათმობინებდა, მაგრამ 20 წლის ბიჭმა იმდენი იბორგა, ეს უვარსკვლავო და უხეირო გუნდი ლამის პლეი ოფში გაიყვანა, ხუთიოდ მოგება დააკლდა იქამდე. პოლი მოედანზე 36,4 წუთის ატარებდა და საშუალოდ 16,1 ქულად, 7,8 მოხსნად და 2,2 ჩაჭრად აქცევდა. თანაც 2,2 ჩაჭრა საუკეთესო შედეგია ამ სეზონში და ამით კრის პოლი ბრევინ ნაითის (1998) შემდეგ პირველი ახალბედა გახდა, ვინაც ლიგას ჩაჭრებში ულიდერა.



## პლეი ოფი 2006

# კარი გაუღეთ მეკარეებს

10 მაისი

მეორე რაუნდი

**აღმოსავლეთი**

**ოტავა 0:3 ბუფალო**

**ბუფალო 3:2 ოტავა**

*1:0 0:0 1:2 1:0*

1:0 დრური (10), 1:1 სპეცა (46), 2:1 აფინგენოვი (51), 2:2 სპეცა (59), 3:2 დიუმონი (64)

როგორც ჩანს, „ოტავა“ თასის მოპოვებას ველარ შეძლებს. სერიის მესამე მატჩმა პრაქტიკულად ნულამდე შეამცირა პლეი ოფის ფავორიტის შანსები. კანადელებმა „ბუფალოს“ ტაქტიკას ვერაფერი მოუხერხეს და ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ საქმე ოვერტაიმამდე არ მივიდა, ვინაიდან „ოტავამ“ მხოლოდ ძირითადი დროის დასრულებამდე 90 წამით ადრე გაათანაბრა. სტუმრები რიცხვმრავლობაში თუ ახერხებდნენ სერიოზული საფრთხის შექმნას, თორემ სხვა დროს „ბუფალო“ ჩინებულად ახშობდა მეტოქის სწრაფ შეტევებს. ოვერტაიმში კი ჟან-პიერ დიუმონმა გაალა სტუმართა მეკარე. ახლა „ოტავას“ დომინიკ ჰეშეკის იმედიღა დარჩა. როგორც იუწყებიან, „დომინატორი“ ყინულზე დაბრუნებას აპირებს.

**კაროლინა 3:0 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 2:3 კაროლინა**

*1:2 1:1 0:0*

1:0 ბრილინი (3), 1:1 კალენი (9), 1:2 უილიამსი (11), 2:2 ელიაში (29), 2:3 ბრინდამორი (39)

წლევანდელი პლეი ოფი ისტორიაში ისე შევა, როგორც მეკარეთა ახალი თაობის პლეი ოფი. წარმოუდგენელია, მაგრამ თითქმის ყველა გუნდში, რომელიც სერიას იგებს, კარში ჩემპიონატის მიხედვით მეორე გოლკიპერები დგანან. რანგით დაბლა მდგომ მეკარეებს თავის გამოჩენის საშუალება პლეი ოფში მიეცათ, ჰოდა, ახლა ისინი ჩადიან სასწაულებს და თავის კლუბებსაც ახარებენ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ გამოუცდელი კაროლინელი კემ უორდი თავის სახელგანთქმულ კოლეგა მარტინ ბროდოზე უკეთ ითამაშებდა. უორდმა ამჯერადაც პირწმინდად მოუგო დუელი ბროდოს.

**დასავლეთი**

**სან ხოსე 2:1 ედმონტონი**

**ედმონტონი 3:2 სან ხოსე**

*1:0 0:2 1:0 0:0 0:0 1:0*

1:0 ბერჟერონი (11), 1:1 მარლო (22), 1:2 რისმილერი (30), 2:2 ტორესი (54), 3:2 ჰორკოფი (102)

ერთადერთი გუნდი, რომელმაც შეძლო სერიაში გარკვეული ინტრიგის შემოტანა, კანადური „ედმონტონი“ გახდა. მაგრამ „მენავთობეებს“ გვარიანი ჯაფა დაადგათ. „სან ხოსე“ ხუთი პერიოდის განმავლობაში არ ტყდებოდა და მხოლოდ მესამე ოვერტაიმის დასაწყისში მოახერხა შონ ჰორკოფმა გოლის გატანა. არადა, საწყენი იქნებოდა, ანგარიში 3:0 რომ გამხდარიყო, ვინაიდან ყველაზე დაძაბული ბრძოლა სწორედ ამ წყვილში მიმდინარეობს.




AFP

სანხოსელ ელინ მაკკოლის ედმონტონელი ბრედ ვინჩესტერის ყვანჯი არცთუ შემთხვევით მოხვდა



**კაცები. მასტერსი. რომი. თიხნარი**
**საპრიზო 2 450 000 $**

**მეორე წრე**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:3 7:6; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — რადეკ შტეპანეკი (14, ჩეხეთი) 6:4 7:6; ნიკოლას ალამგრო (ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 2:6 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:1 3:6 6:0; რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 0:6 7:6 7:6; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 3:6 7:6 6:0; ენდი როდიკი (3, აშშ) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 3:6 6:1 6:2; გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) 7:6 6:4; გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — რობი ჯინეპრი (16, აშშ) 6:1 4:6 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 6:4; ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:2 6:1; ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4 5:7 6:3 ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — ტომას იოჰანსონი (15, შვედეთი) 7:6 6:1; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:1 6:2

**მესამე წრე**

დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5 6:4

**ქალები. ბერლინი. თიხნარი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**მესამე წრე**

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:3 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 6:0; ნა ლი (ჩინეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:1 6:0; დინარა საფინა (10, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (8, სლოვაკეთი) — 6:3 6:2;

# ვინ არის მაქს მოსლი?

*საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ გუშინ თბილისიდან საკუთარი თვითმფრინავით გაფრინდა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი. იგი 13 წელია, რაც წინამძღოლობს ამ უმძლავრეს ავტოორგანიზაციას, რომლის 120 წევრქვეყანას შორის საქართველოცაა.*

*მისტერ მოსლის სტუმრობის მიზანი იყო ჩვენი ფედერაციის მუშაობის გაცნობა, აგრეთვე საქართველოში ავტოსპორტის განვითარებისა და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ასამაღლებლად თეორიულ-პრაქტიკული დახმარების გაწევა.*

*გთავაზობთ პოპულარულ ჟურნალ* ***„F1 RACING“****-ის წერილს (შემოკლებით) 65 წლის ინგლისელ ავტოპრეზიდენტზე*



**1975. მომავალი ავტობოსები ბერნი ეკლსტოუნი და მაქს მოსლი**

**FIA-ს პრეზიდენტი** ძლევამოსილი პიროვნებაა არა მხოლოდ ფორმულა 1-ის მასშტაბით.

მთელ დედამიწაზე ალბათ არ მოიძებნება მაქსიმილიან მოსლიზე უფრო ჭკვიანი, ლოგიკური და მცოდნე ადამიანი. იქნებ მხოლოდ ბერნარდ ეკლსტოუნი.

ადრე მაქსს ხანდახან ლონდონში ვხვდებოდი — რომელიმე წყნარ რესტორანში საუზმეზე გაზეთის კითხვისას, ან ფიქრებში ჩაფლულს უილტონ-სტრიტზე, მისი ოფისის მახლობლად სეირნობისას.

მოსლიმ, ეკლსტოუნმა და სხვა წარჩინებულმა საფორმულო პირებმა მშვენივრად უწყიან, რომ „რეალურ“ სამყაროში გაცილებით ადვილია წარმატების მიღწევა, ვიდრე „სამეფო რბოლებში“.

„მე ბევრს ვფიქრობდი პოლიტიკურ კარიერაზე, მაგრამ მიზეზთა გამო საამისოდ ხელსაყრელი მომენტი არ დადგა. ერთის მხრივ, არცთუ გამოსადეგი გვარი მაქვს, მეორეც — ფულის საკითხიც ხომ არსებობს. მისთვის, ვინც მდიდარი დაიბადა, ეს არჩევანი ბევრად იოლია. მაგრამ, როცა თავად გიხდება ლუკმაპურისთვის წვალება, არის უამრავი სხვა უფრო მიმზიდველი ვარიანტი.“

მაქსის მამა, სერ ოსვალდ მოსლი გასული საუკუნის 30-იან წლებში ბრიტანელი ფაშისტების ლიდერი იყო, რის გამოც, ბუნებრივია, სამშობლოში არაერთ შარში გაება. მეტიც, სერ ოსვალდი თანამემამულეებმა „ერის სირცხვილად“ შერაცხეს.

მამაზე მაქსის მონაყოლისას იქმნება შეგრძნება, რომ მის მეხსიერებაში მამამისი უფრო მეტად მამაც პიროვნებად დარჩა, ვიდრე პოლიტიკოსად:

„ვფიქრობ, ახალგაზრდობაში მან არცთუ ცოტა სისულელე ჩაიდინა, როგორც ეს ყველას მოსდის, მაგრამ რას იზამ, მან გააკეთა ის, რაც გააკეთა. ადრე ვცდილობდი, რაც შეიძლება, ღრმად ჩავწვდომოდი მამაჩემის ბუნებას, მაგრამ ახლა ეს ნაკლებად მაინტერესებს.“

ახალგაზრდულ წლებში მაქსი ადვოკატი იყო, ასე რომ, შესანიშნავად ლაპარაკობს. მუდამ მოხდენილია და ელეგანტურად ჩაცმული.

მოსლი ავტოფედერაციის პრეზიდენტი ეკლსტოუნის წყალობით გახდა. მაშინ, 80-იანი წლების ბოლოს, ბერნიმ ფორმულა 1-ში განხეთქილების პრობლემა მოაგვარა და მოქიშპე მხარეებს ახალი მეთაური — მაქს მოსლი შესთავაზა. რომელიც იმხანად FIA-ში ავტოკონცერნების წარმომადგენელი იყო.

ერთი სიტყვით, ჟან-მარი ბალესტრის ნაცვლად პრეზიდენტად მოსლის არჩევამ სასიკეთო ეფექტი მოიტანა. ამის დასტურია ფორმულა 1-ის არა მხოლოდ გაზრდილი პოპულარობა და უსაფრთხოება, აგრეთვე წამყვან ფიგურათა (ფრენკ უილიამსი, რონ დენისი, ედი ჯორდანი, ფლავიო ბრიატორე) კეთილდღეობის ფანტასტიკური დონე.

მაქსს უყვარს კითხვა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, შერჩეულ წიგნთა გრძელი სიიდან, ზაფხულობით ორ-სამისთვის თუ იპოვის დროს. ბოლოს ეს იყო ნაშრომი ვულკანოლოგიის შესახებ („საოცრად საინტერესოა“), ბრიტანელ პოლიტიკოს ჯონ სმიტის ბიოგრაფია და წიგნები შავი ზღვის რეგიონში ბატონობისთვის გერმანიის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის ბრძოლის ისტორიაზე. არანაირი მხატვრული ლიტერატურა („რომანებს საერთოდ არ ვკითხულობ“) და მით უმეტეს, არავითარი წიგნები ავტოსპორტზე.

მაქსის სამრბოლო კარიერა 60-იანი წლების ბოლოს ფორმულა 2-ის მანქანებით რამდენიმე გაჯირითებით შემოიფარგლა. განსაკუთრებული სიმაღლეებისთვის არ მიუღწევია — მისი საუკეთესო შედეგი მერვე ადგილი იყო 1968 წელს იტალიაში, მონცას ავტოდრომზე „გრან პრემიო დელა ლოტერიას“ რბოლაში.

მერე მეგობრებთან ერთად საპირველფორმულო გუნდი „მარჩ“-ი დააარსა, რომლის სახელ-აბრევიატურაში „მ“ მოსლის ნიშნავდა. თავის მეგობარ-მძღოლების, რონი პეტერსონისა და როჯერ უილიამსონის დაღუპვის შემდეგ, მაქსმა განსაკუთრებული ყურადღება უსაფრთხოების ამაღლებაზე გადაიტანა.

მოსლისა და ეკლსტოუნის ამ საკითხში დაუღალავმა მოღვაწეობამ მოსალოდნელზე მაღალი შედეგი მოიტანა: დღეს მრბოლები უვნებლები რჩებიან ისეთი საშინელი ავარიების შემდეგ, რომლებიც მათი წინამორბედებისთვის ფატალური იქნებოდა. მათი დაცვისთვის ბოლო ორ ათწლეულში, განსაკუთრებით 1994 წელს აირტონ სენას დაღუპვის შემდეგ, უამრავი ღონისძიება განხორციელდა.

„მაგრამ დამშვიდება არ შეიძლება. ავარიის რისკი მუდმივადაა და ჩვენც ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს“ — ამბობს მოსლი.

დასვენების იშვიათ, ბედნიერ წუთებში მაქსი უსმენს მუსიკას, ძირითადად კლასიკურს. კითხულობს, ვახშმობს ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად, ხანდახან მარტოც. ულონდონობას არ ნაღვლობს და შესანიშნავად გრძნობს თავს მონაკოში, სადაც საღამოს ყოველთვის თბილა, გარშემო კი მომხიბლავი ხედებია. (FIA-ს შტაბბინა მონტე კარლოშია).

კითხვაზე, თუ ისტორიულ მოღვაწეთაგან ვის დაპატიჟებდა ვახშამზე, მაქსი დაფიქრების შემდეგ პასუხობს — ჩინგის ხანს, კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს, ისააკ ნიუტონს, დიზრაელის და ლენინსო.

კი მაგრამ, ჩერჩილი?

„იგი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო და მე მას ლამის ბიძად ვთვლიდი. თუმცა ომის დროს, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენს ოჯახებს შორის დამოკიდებულება დაიძაბა.“

შარშან, 64 წლის მაქსიმილიან რუფუს მოსლი მეოთხედ და უალტერნატივოდ აირჩიეს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტად. ალბათ ეს მისი ბოლო ვადაა და სამი წლის შემდეგ გავა პენსიაზე: „ბევრ საქმეს ხალისით მოვკიდებ ხელს. მაინტერესებს პოლიტიკა ფართო გაგებით, თუმც მიჭირს გავუგო ადამიანს, რომელსაც ნამდვილად სჯერა, რომ შესწევს ძალა მარტომ უხელმძღვანელოს მთელ ქვეყანას. გარდა ამისა, მსურს ორიოდე წელი უბრალოდ ვიმოგზაურო კლასიკური მუსიკის ფესტივალებზე, შუალედებში კი წიგნები ვიკითხო და ვიფიქრო.“

*ჟურნალ F1 RACING-ის მიხედვით*



**სერ ოსვალდ მოსლი ბრიტანელი ფაშისტების ლიდერი იყო**


# წამალი „სალხინო“

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

• მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge